სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 26 თებერვალი 2008 №042 (3266) ფასი 50 თეთრი

ქართული ფეხბურთი თითქმის გაქართულდა

თემურ ქეცბაია საეროვნულოდ დაფიქრდა

გელა შეყილაძემ და ზაურ სვანაძემ ასაკები გაინაწილეს





ბადრი კეთილაძის ფოტო

გურგენ დოლენგაველის ფოტოები

თემურ ქეცბაია — ზაურ სვანაძე — გელა შეყილაძე

ჩვენი ფეხბურთი ჩვენს ფეხბურთში

ყაველაშვილი და მეგობრები შიშის სინდრომსა და არჩევნებზე ალაპარაკდნენ

გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი და ლევან ყიფიანი

ბადრი კეთილაძის ფოტო

გელა შეყილაძე: საქმეს მოუთმენლად ველოდები

გურამ ფოფალაძის ფოტო

„ამ პოსტს მომზადებული ვხვდები. ბოლო სამი თვე 1992 და 1993 წლებში დაბადებულთა შერჩევაში ვმონაწილეობდი. ვიცი, რომ სამუშაო ძალიან ბევრია და თავს არ დავზოგავ. მერწმუნეთ, იმ ასაკის ბავშვებში, სადაც უნდა ვიმუშაო, ბევრი ნიჭიერია და მოუთმენლად ველოდები საქმის დაწყებას" — გვითხრა გელა შეყილაძემ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში გამწვრთნელება მივულოცეთ...

— გამოდის, ამ ასაკში სელექცია უკვე დაწყებული გაქვთ...

— დიახ. ამ ასაკის ნაკრებში მუშაობაში ხომ სელექციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. 1992 წელს დაბადებული 1395 და 1993 წელს დაბადებული 1880 ბავშვი გაისინჯება.

— ორი წლის წინ დასავლეთ-აღმოსავლეთის 15 და 16 წლის ბავშვთა ნაკრებები შეხვდნენ ერთმანეთს შერჩევის მიზნით. ალბათ, თქვენც აპირებთ ამას...

— აუცილებლად. ჩვენ უკვე ბევრ თამაშში დავაკვირდით ამ ბავშვებს, კიდევ გავაგრძელებთ და თითო გუნდში 55 ბავშვს ავიყვანთ ამ მატჩებისთვის. ასე ვთქვათ, გაფართოებულ სიას გავაკეთებთ, საიდანაც უკეთ შევარჩევთ საუკეთესოებს. რა თქმა უნდა, ეს კეთდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

— პირველი უცხოური ტურნირი როდის იქნება წლეულს?

— 18-23 მარტს პორტუგალიაში ოთხთა ტურნირი გაიმართება, სადაც 1993 წელს დაბადებულებს წავიყვანთ. ჩვენს გარდა მასპინძელი პორტუგალია, სლოვაკეთი და თურქეთი იქნებიან. პორტუგალიაში 18 ფეხბურთელს წავიყვან და ვინც თავს გამოიჩენს, შესაძლოა, შემოდგომაზე 17-წლამდელთა ევროშესარჩევშიც ვათამაშოთ.

— ანუ, საგაისოდ უკვე დაიჭირეთ თადარიგი...

— ასეა, შესარჩევში აქცენტი ცხადია, 1992 წელს დაბადებულებზე გაკეთდება, თუმცა ერთი წლით უმცროსებსაც აქვთ შანსი.

— შარშანწინ სწორედ 17-წლამდელებში გამოჩნდნენ ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე და გიორგი მაკარიძე. შერჩევა უკვე დაწყებული გაქვთ და ერთი შეხედვით, რამდენად ნიჭიერი თაობა მოდის 1992 და 1993 წლებში დაბადებულებში?

— უკვე ვხედავ ასეთებს, თანაც, საკმაოდ ბევრს. ასე რომ, ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ და ვნახოთ...

— 21-წლამდელთა ნაკრებში კი პეტარ სეგრტის თანაშემწეც იქნებით...

— ეს ხელს არ შემიშლის. 17 და 21-წლამდელთა ნაკრებების მატჩები ერთმანეთს არ ემთხვევა, ასე რომ, ძველებურად დავეხმარები სეგრტს.

ილია ნანოგაშვილი



რალფ მინგე და ჰერბერტ ცანკერი

გურამ ფოფალაძის ფოტო

ჰერბერტ ცანკერი: ნაკრებიდან ტექნიკურ დირექტორატში?

გუშინ ოფიციალურად გაცხადდა, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს გელა შეყილაძე გაწვრთნის.

ცხადია, დავინტერესდით, რა ბედი ეწეოდა მის გერმანელ წინამორბედ ჰერბერტ ცანკერს.

როგორც შევიტყვეთ, ცანკერი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორატში იმუშავებს რალფ მინგესთან ერთად.

მინგე ჯერ ოფიციალურად არ დანიშნულა ტექნიკურ დირექტორად, თუმც, სავარაუდოდ, სწორედ მას დაამტკიცებენ ამ პოსტზე. ცანკერი კი მინგესთან ერთად გაინაწილებს ფუნქციებს.

ილია ნანოგაშვილი

პროგრამა კლუბებს წლეულს მიხედავს

რამდენიმე თვის წინ ქართული ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა გამოცხადდა.

ეს პროგრამა ითვალისწინებდა რვა ქართული კლუბის კერძო ინვესტორის ხელში გადასვლას. ეს პროცესი იანვარში უნდა დაწყებულიყო, თუმცა ჯერ საქმე წინ არ წასულა.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს ამაზე ვკითხეთ და გვიპასუხა: „რაღაც საკითხებია, მოსაგვარებელი და ამ წლის ბოლომდე ეს პროექტი აუცილებლად განხორციელდება".

ნუკრი ლოლაძე

ფეხბურთის კლუბი ამერი თანაუგრძნობს კლუბის ბავშვთა სკოლის მწვრთნელ თამაზ ტეტელოშვილს

დედის

გარდაცვალების გამო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ „ბათუმის" მწვრთნელ ავთანდილ კუნჭულიას და ფეხბურთელ ვასილ კუნჭულიას

მამის და ბაბუის

გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს „ბათუმის" მწვრთნელ ავთანდილ კუნჭულიას და ფეხბურთელ ვასილ კუნჭულიას

მამის და ბაბუის

გარდაცვალების გამო

სიმურგმა ახალი ქართველი იპოვა

ჩხეტიანი ბოლქვაძეს შეუამხანაგდა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ „ზესტაფონის" კაპიტანი კახა ჩხეტიანი იმერულ კლუბს გაეცალა.

მეორე წრის მოსამზადებელ პერიოდში ჩხეტიანი ბოლნისის „სიონს" ქობულეთში გაჰყვა შეკრებაზე და რამდენიმე ტესტ-მატჩშიც ითამაშა, თუმცა შემდეგ აზერბაიჯანში წავიდა ერთ-ერთ კლუბში გასასინჯად და, როგორც გუშინ შევიტყვეთ, იგი ზაქათალის „სიმურგში" ჩაირიცხა.

არ არის დიდი ხანი, რაც ამ გუნდში ამერელი დავით ბოლქვაძე გადავიდა და ჩხეტიანიც მისი თანაგუნდელი იქნება.

ნუკრი ლოლაძე

რუბინმა ზაპოროჟიეს კვირკველია დაუმალა

ესპანურ ლა მანგაში ყაზანის „რუბინმა" ტესტ-მატჩში 1:0 მოუგო ზაპოროჟიეს „მეტალურგს". ყაზანელთა სამი ქართველიდან მხოლოდ ლაშა სალუქვაძემ ითამაშა (62 წუთი), ნუკრი რევიშვილი და დავით კვირკველია კი არ გამოჩენილან.

კვირკველია სწორედ ზაპოროჟიედან გადაბარგდა „რუბინში", თანაც რუსულმა კლუბმა სკანდალურად ააცალა ქართველი „მეტალურგს" და საინტერესოც იქნებოდა მისი თამაში ყოფილი გუნდის წინააღმდეგ...

ილია ნანოგაშვილი

ასათიანის სრული ავსტრია



მოსკოვის „ლოკომოტივი" ავსტრიულ შეკრებაზე წავიდა, სადაც მალხაზ ასათიანი და დავით მუჯირიც იახლა.

საინტერესო ისაა, რომ ამ შეკრებაზე ასათიანი სრული დატვირთვით დაიწყებს ვარჯიშს, — მან ხომ საქართველო — ლატვიის მატჩში ტრავმა მიიღო.

ისიც გაირკვა, რომ მალხაზი ავსტრიაში ამხანაგურ მატჩებშიც შეძლებს თამაშს.

ილია ნანოგაშვილი

ინგლისი

პრემიერლიგა. XXVII ტური

სიტი 0:2 ევერტონი

LDV VANS TROPHY

1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

დონსი 0:1დ.დ.(5:4) სუონსი (1:0)

იტალია

სერია C1/A. XXV ტური

სასუოლო — კავეზე გადაიდო

გერმანია

II ბუნდესლიგა. XXI ტური

ლაუტერნი 2:3 კობლენცი

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXV ტური

სედანი 1:2 ნანტი

პორტუგალია

სუპერლიგა. XX ტური

აკადემიკა 1:1 ბოავიშტა

შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XX ტური

შაფჰაუზენი 1:0 ვინტერთური

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XVIII ტური

ბრნო 2:1 სლავია

არგენტინა

კლაუსურა. III ტური

არსენალი 1:0 ოლიმპო

სან მარტინი 0:2 ბოკა ხუნიორსი

ჩილე

აპერტურა. VI ტური

ანტოფაგასტა 1:1 კობრელოა

სან მორნინგი 2:3 ო ჰიგინსი

კოლო კოლო 1:4 ატლეტიკო

მექსიკა

კლაუსურა. VII ტური

ამერიკა 0:1 სანტოსი

მონტერეი 1:1 ატლასი

პუებლა 4:0 მორელია

ამხანაგური მატჩები

ორჰუსი 0:0 ვროცლავი

ბრონდბიუ 1:1დ.დ.(5:4პ) რუბინი

ალესუნდი 1:0 ლინი

გურამ დოლიძეს/ეროვნული ფოტო

სფფ-ის გენერალური მდივანი უჩა უგულავა, პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და პრესატაშე სანდრო ცნობილაძე

ახალკაცის ახალი ნაბიჯი: ქეცბაია ტოპმიოლერთან!

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა პრესკონფერენცია გამართა და რამდენიმე მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხზე ისაუბრა...

ახალი მწვრთნელები

— დღევანდელი პრესკონფერენციის მთავარი თემა საქართველოს ასაკობრივი ნაკრებებია. მინდა, სიამაყით ვთქვა, რომ ჩვენმა პროექტმა, რომელიც საქართველოს ნაკრებში დასაქმებული ქართველი მწვრთნელების დონის ამაღლებას და დაწინაურებას ითვალისწინებდა, სასურველი შედეგი გამოიღო: ამიერიდან 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში ქართველი მწვრთნელები იმუშავებენ: საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გელა შეყილაძე იქნება. მას ლევან ხომერიკი და ასლან ბალაძე დაეხმარებიან; საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცი კი ზაურ სვანაძეა. მას გოჩა ჩიქოვანი და დავით გვარამაძე დაეხმარებიან.

...მსურს, თითოეულ მათგანს დიდი მადლობა გადავუხადო — ისინი ჩვენს შეთავაზებას დათანხმდნენ და იმედია, თავიანთ გამოცდილებას ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ გამოიყენებენ. მათი საკლუბო კარიერა წარმატებით წარიმართა და მჯერა, ასაკობრივ ნაკრებებში მათი საქმიანობაც წარმატებული იქნება.

...17-წლამდელთა ნაკრებში სასელექციო მუშაობა თითქმის 2 თვეა, დაიწყო. ასევე სასიხარულოა, რომ 15-წლამდელ ფეხბურთელთა მზადებაც დავიწყეთ — იცით, რომ ეს გუნდი მარტში პორტუგალიაში საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს...

...მას შემდეგ, რაც მონაცემთა ბაზა შევქმენით და ტალანტების მოძიების პროგრამა ავამუშავეთ, თითოეულ ახალგაზრდა ფეხბურთელზე ამომწურავი ინფორმაცია შევაგროვეთ. უკვე 15-წლამდელ ფეხბურთელებზეც ვავსებთ მონაცემთა ბაზას და იმედია, უფრო პატარა ასაკის ბავშვებზეც შევძლებთ სრული ინფორმაციის შეგროვებას. შემიძლია, დავასახელო ბავშვთა ფეხბურთში დასაქმებული ცნობილი სპეციალისტი კოტე დოლიძე, რომელიც ჩვენთან შეთანხმებით იმუშავებს ამ სფეროში.

ქეცბაია ნაკრებში

...მსურს, დიდი სიხარულით გაცნობოთ, რომ წინასწარი მოლაპარაკებები ვაწარმოეთ თემურ ქეცბაიასთან და მას საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწეობა შევთავაზეთ. თემურმა დრო ითხოვა. დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში მე მას უშუალოდ შევხვდები კვიპროსზე. ვიმედოვნებ, თემურ ქეცბაიას სახით, ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა შტაბს უცხოეთში წარმატებით მომუშავე ქართველი მწვრთნელიც გააძლიერებს...

სეგრტი ჯერ ხელშეუხებელია

...რაც შეეხება 21-წლამდელთა ნაკრებს, მთავარ მწვრთნელ პეტარ სეგრტს კონტრაქტი აქვს ფედერაციასთან. შესარჩევ ტურნირში წარმატების შემთხვევაში, მასთან ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება...

...ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან დაკავშირებით ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მარტში, ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩამდე კლაუს ტოპმიოლერთან ხელშეკრულება ოფიციალურად გახანგრძლივდება.

საკლუბო ფეხბურთი

...სახელმწიფო ძალიან აქტიურ როლს ასრულებს ქართული ფეხბურთის განვითარებაში. აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ კონკრეტულ პროექტებზე — წლეულს უპრეცედენტო პროექტი განხორციელდება, რომლის შედეგად ჩვენ რვა ახალი სტადიონი გვექნება და ამდენივე კლუბი კერძო მეპატრონის საკუთრებაში გადავა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს...

...კარგია ისიც, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრიდან დაიწყო მატჩების ტელევიზით გადაცემა — როგორც იცით, საამისო უფლებები კომპანია „კოლხიდას“ გადაეცა. სასიხარულოა ისიც, რომ გულშემატკივრებს ყოველ კვირას შეეძლებათ ტურის მიმოხილვის ნახვა. ცხადია, ასეთი ნაბიჯები მხოლოდ და მხოლოდ წაადგება ქართული ფეხბურთის განვითარებას.

ბავშვთა ფეხბურთი და ფიფა-უეფა

...იანვრის ბოლოს სანკტ პეტერბურგში ფიფას და უეფას პრეზიდენტებს, ზეპ ბლატერს და მიშელ პლატინის შევხვდით. მათთან საუბრისას ჩვენი პრიორიტეტი ბავშვთა ფეხბურთი იყო. ფიფას პროგრამა „გოლი-2“-ის დახმარებით დაგეგმილია საგურამოში მინდვრის საფარის დაგება. შემიძლია გითხრათ, რომ სამუშაოების დიდი ნაწილი ჩატარებულია და დაახლოებით ერთი თვის სამუშაო დარჩა. რაც შეეხება „ჰეთ თრიქის“ პროგრამას, 1 ივლისიდან ახალი ეტაპი ამოქმედდება, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია 2,5 მილიონი ევროს ინვესტირება ბავშვთა ფეხბურთში. მსურს გითხრათ, რომ მწვრთნელთა შორის C ლიცენზიის მოსაპოვებელი კურსის განხორციელებით შევკრავთ ბავშვთა მწვრთნელების სრულ ციკლს. C ლიცენზიის მოსაპოვებელი პროგრამა განხორციელდა დასავლეთ საქართველოში და დაგეგმილია ამ პროგრამის განხორციელება აღმოსავლეთ საქართველოში. ასევე ხსენებული თანხით საფეხბურთო სკოლებში მოეწყობა სარწყავი ჭაბურღილები და დამონტაჟდება განათების სისტემა. ცხადია, ამავე თანხაში შედის საფეხბურთო სკოლებისთვის აღჭურვილობის შეძენა: ბურთები, გადასატანი კარები და ასე შემდეგ. ამ 2,5 მილიონ ევროში შედის ლაგოდეხის ბაზის კეთილმოწყობაც. იქვე ვაპირებთ საფეხბურთო ინტერნატის დაარსებასაც...

...საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უკვე შეკვეთილი აქვს ბურთები, რომლებითაც მომარაგდებიან საფეხბურთო სკოლები.

ფუტსალის ნაკრებს დარბაზი ექნება

...საქართველოს ფუტსალის ნაკრები ესპანეთში იმყოფება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თითქმის 10 დღით ადრე გაუშვა გუნდი შეკრებაზე, რათა ნაკრები, რაც შეიძლება, კარგ პირობებში ყოფილიყო. გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენს ტექნიკურ ცენტრში ფუტსალის დარბაზის მოწყობა, ევრეთ წოდებული „ტერაფლექსის“ აღჭურვილობით.

ქართველები უცხოეთში

...უეფას კონგრესის გადაწყვეტილებით, ამუშავდება პროგრამა, რომლის მიხედვითაც ერთი წლის განმავლობაში მწვრთნელების გარკვეული რაოდენობა წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების კლუბებში წავლენ, რათა ადგილზე გაეცნონ მათი მუშაობის სპეციფიკას. მიმაჩნია, რომ ეს პროგრამა შესანიშნავი შანსია ცოდნის მისაღებად და გამოცდილების შესაძენად.

ნუკრი ლოლაძე



თემურ ქეცბაია
ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი

17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელები



გელა შეყილაძე

ლევან ხომერიკი

ასლან ბალაძე

19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელები

ზაურ სვანაძე



გოჩა ჩიქოვანი



დავით გვარამაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

ჩვენს ფეხბურთს სიმართლე სჭირდება

ჯამარაულმა, ყაველაშვილმა და ყიფიანმა კავშირი დააარსეს

გუშინ ქართული ფეხბურთის ქომაგებისთვის კარგად ნაცნობი სახეები კაფე „მსოფლიო სპორტში“ შეიკრიბნენ და კავშირ „ჩვენი ფეხბურთის“ პრეზენტაცია მოაწყვეს. კავშირის დამფუძნებლები ახლო წარსულში საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები, მიხეილ ყაველაშვილი და გოჩა ჯამარაული, ასევე დავით ყიფიანის ვაჟი ლევან ყიფიანი არიან...

კავშირის დამფუძნებლებმა გვარიანად ხმაურიანი განცხადებები გააკეთეს.

ლევან ყიფიანი: „კავშირი ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის შევქმენით, ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი. „ჩვენი ფეხბურთი“ არ არის კომერციული ორგანიზაცია და სრულიად პოლიტიკურია. ჩვენ მხოლოდ საქმის კეთების სურვილი გვამოძრავებს.“

აი, რა თქვა კავშირის თავმჯდომარემ **მიხეილ ყაველაშვილმა**: „ქართული ფეხბურთი უმძიმეს დღეშია. ეს ყველაფერი აისახა როგორც ბავშვთა ფეხბურთზე, ისე ეროვნულ ჩემპიონატსა და ყველა ასაკობრივ ნაკრებზე. ჩვენი კავშირის უმთავრესი მიზანი ქართულ ფეხბურთში სამართლიანობის დამკვიდრებაა. ახლო წარსულში ჩატარებული ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები ქართულ ფეხბურთსა და მთლიანად ქართულ საზოგადოებას „შავ ლაქად“ აწევს...

...შარშან ქვეყნის ხელისუფლებამ საკუთარ თავზე ზედმეტი პასუხისმგებლობა აიღო, რამაც სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანა. დღევანდელმა ხელისუფლებამ გამოთქვა სურვილი, რომ ყველა სფეროში პროფესიონალებმა იმუშაონ. ამიტომ საჭიროა, შეიქმნას პრეზიდენტი და ფეხბურთის ფედერაციაში ჩატარდეს რიგგარეშე სამართლიანი არჩევნები...

...ჩვენი აზრით ქართულ ფეხბურთს სიმართლე აკლია. სამართლიანობა თუ არ დამკვიდრდა, ქართული ფეხბურთის წინსვლა წარმოუდგენელია. თავს ვალდებულად ვთვლით, მივმართოთ ქართულ ფეხბურთში ავტორიტეტულ პიროვნებებს, რათა მათ შიში დაძლიონ და საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ. ჩვენ გვჭირდება სიმართლე, რათა ეს ჩაკეტილი წრე გავარღვიოთ“.

გოჩა ჯამარაული: „ჩვენთვის ფეხბურთი ძალიან ბევრს ნიშნავს და დღევანდელ ვითარებაში საკუთარი აზრის ართქმა ღალატის ტოლფასი იქნებოდა. ვისაც ქართულ ფეხბურთში სიტყვა ეთქმის, ყველამ საკუთარი პოზიცია უნდა დააფიქსიროს. საფეხბურთო სამყაროში დასაქმებულ ბევრ ადამიანს უნდოდა თავისი აზრის გამოთქმა, მაგრამ შეეშინდათ, რადგან საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მათ კლუბებს პრობლემა შეექმნებოდათ“.

ყიფიანი: „ქართული საფეხბურთო საზოგადოება ასეთი დათრგუნული არასოდეს მინახავს. ამიტომ ჩვენი პირადი ამბიცია გვერდზე გადავდოთ და რეალური პროექტების საფუძველზე ყველას უნდა დავანახოთ, რისი გაკეთება შეგვიძლია...

...ფაქტია, რომ მხოლოდ უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანა ვერ გადაწყვეტს ქართული ფეხბურთის პრობლემას. თუ მორაგბეები გაერთიანდნენ და საქმეს აკეთებენ, თუ ეს მოჭიდაველებმა მოახერხეს, მაშინ ფეხბურთმა რა დააშავა?! დავდგეთ ერთად და დავიბრუნოთ ჩვენი ფეხბურთი...

...დღეს ჩვენს მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი, ქართულ საფეხბურთო საზოგადოებაში შიშის სინდრომის დაძლევას ისახავს მიზნად. „ჩვენი ფეხბურთის“ მომდევნო ნაბიჯი მარტში დიდი საფეხბურთო კონფერენციის მოწვევა იქნება, რომელსაც საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები, გულშემატკივრები და ჟურნალისტები დაესწრებიან...

..რაც შეეხება ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის ჩატარების მოთხოვნას, ამის მექანიზმი ჩვენს მიერ მუშავდება. გვსურს, მეცნიერებაზე დამყარებული ქართული ფეხბურთის იდეოლოგია შევქმნათ, ვინაიდან თანამედროვე ფეხბურთი მეცნიერების გარეშე წარმოუდგენელია. შემიძლია გითხრათ, რომ ბევრი მხარდამჭერი გვყავს. არის ხალხი, რომლებსაც ქართულ ფეხბურთზე გული მართლა შესტკივა“.

მომავალ კონფერენციასთან დაკავშირებით, *ყველაშვილმა* ეს გვითხრა: „საჭიროა, ყველამ შეიგრძნოს, რომ ქართული ფეხბურთი ჩვენია. უამრავი მწვრთნელი თუ გულშემატკივარი ფეხბურთში არსებულ პრობლემებზე კულუარებში ხშირად საუბრობს, მაგრამ სათქმელს ხმამაღლა არ ამბობენ. საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ უფსკრულამდე მიგვიყვანა. დადგა დრო, ხმა ამოვიღოთ, ვინაიდან სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ და ეს უკიდურესი ზომაა. ჩვენ ეს საქმე დავიწყეთ და კავშირში გაწევრიანების სურვილი ბევრ ადამიანს აქვს“.

ჯამარაულის თქმით კი, ალექსანდრე ჩივაძემ და მურთაზ ხურცილავამ, რომლებიც დღესდღეობით ქართულ ფეხბურთს ჩამოცილებულნი არიან, საკუთარი პოზიცია ხმამაღლა უნდა დააფიქსირონ.

ჯამარაულმა ისიც დასძინა, ჩვენს ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ვლადიმერ გუცაევს განსხვავებული აზრი აქვს, რომლის თაობაზე საზოგადოება უახლოს ხანში გაიგებსო.

კავშირ „ჩვენი ფეხბურთის“ დამფუძნებლების თქმით, მათი ერთ-ერთი მიზანი ისიც გახლავთ, რომ ვეტერანი ფეხბურთელები და უცხოეთში მოთამაშე ქართველები საფეხბურთო საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ.

კავშირში გაწევრიანება ნებისმიერ მსურველს განცხადების საფუძველზე შეეძლება: „ჩვენი ფეხბურთი“ დროებით ჟურნალ „ათიანის“ რედაქციაში განთავსდება.

ნუგრი ლოლაძე

ზესტაფონმა მხოლოდ ტრიბუნაზე გვაჯობა

გიორგი მელქაძე: კარშიც დავარტყი, ჰასიც გავაკეთე

ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე როგორც „ვიტ ჯორჯიას“ აძლევდა ხელს, ისე დაიწყო — ლიდერმა „დინამომ“ შინ წააგო რუსთავის „ოლიმპთან“, ხოლო ვიტელებმა შინ მეორეადგილოსანი „ზესტაფონი“ 2:1 დაამარცხეს, ცხრილში ადგილი გაუცვალეს და საჩემპიონო ბრძოლაშიც უფრო ჩამოსცხა. ამ დროისთვის ლიდერსა და მესამეადგილოსანს შორის სხვაობა ოდენ ორი ქულაა. იმერლებთან მატჩში „ვიტ ჯორჯიადან“ ერთ-ერთი გამორჩეული გიორგი მელქაძე იყო, რომელმაც ჯერ გიგა ბეჭვაიას უპასა საგოლედ, შემდეგ კი გრიგოლ ჭანტურიას ისეთი გაუტანა, რომ...

— **რას გვეტყვი გუშინწინდელ მატჩზე?**

— კარგი თამაში რომ იქნებოდა, თავიდანვე ეტყობოდა. „ზესტაფონი“ ჩინებული გუნდია. მართალია, ეს კლუბი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ საჩემპიონოდ არიან შემართულნი. ჩვენც, რაც შეგვეძლო, ვიბრძოლეთ. ვფიქრობ, „ზესტაფონმა“ მხოლოდ გულშემატკივრების სიმრავლით გვაჯობა. ჩემი აზრით, ღირსეულად მოვიგეთ.

— **შენ კი ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო იყავი მოედანზე...**

— გუნდიც და მეც სეზონისთვის კარგად მოვემზადეთ. თანაც ვიცოდით, რომ პირველი შეხვედრა მაგრად უნდა გვეთამაშა, რათა კარგი განწყობა შეგვექმნა. რაც შეეხება ჩემს სარგებლიანობას, რა გითხრათ, ასე გამოვიდა... შეიძლებოდა, სხვა ყოფილიყო საუკეთესო. ისე, სასიამოვნოა, რომ გუნდს საგოლე პასით და გოლით დავეხმარე.

— **გოლიც ლამაზი გამოგივიდა. კარში გამიზნულად დაარტყი თუ შემთხვევით აიჭრა ბურთი?**

— ზაზა სახოკიამ ბურთი დამიგორა, ერთი შეხებით გავისწორე, კარს გავხედე და ბურთი ზუსტად იქ წავიდა, სადაც ვფიქრობდი.

— **როგორ ფიქრობ, მეკარეს შეეძლო იმ ბურთის აღება?**

— ჩემი აზრით, ჭანტურია იმ მომენტში დარტყმას არ ელოდა, კარიც დაკარგული ჰქონდა და, ვფიქრობ, გადასულიც ეგონა ბურთი. ალბათ აღებაც შეეძლო, მაგრამ კარგია, ასე რომ არ მოხდა...

— **ჯარიმისასაც თითქმის იმავე ადგილიდან ისევე ჩააწოდე და ბურთი უკანა ძელთან წავიდა. მაშინაც კარში ურტყამდი?**

— არა, მაშინ ცენტრში ჩავაწოდე, მცველები შეცდნენ, ბურთი მათ გადასცდათ და შორეული ძელისკენ წავიდა. ბეჭვაიაც დროულად დახვდა იქ და გაიტანა.

— **მეორე წრე ისე დაიწყო, „ვიტ ჯორჯია“ უკეთესს ვერ ინატრებდა...**

— მართალია — „დინამომ“ წაგო, ჩვენ კი „ზესტაფონს“ ძოვუგეთ. სიტუაცია უფრო დაიძაბა. ასეთი საინტერესო ბრძოლა საქართველოს ჩემპიონატში არ ყოფილა. ვფიქრობ, მომდევნო ტურებში კიდევ უფრო საინტერესო გახდება.

— **დაწინაურებული სამეულის გარდა საჩემპიონო დავაში ჩარევა სხვა გუნდებისგან თუ არის მოსალოდნელი?**

— სხვებს ნამდვილად გაუჭირდებათ, სხვაობა უკვე შვიდი ქულაა. შესაძლოა, ერთ გუნდს სეზონი ჩაუვარდეს და ვინმე წამოეწიოს, მაგრამ სამივემ ქულები ფანტოს და ჩემპიონი სხვა გახდეს, შეუძლებელია.

— **თითქოს კალენდარიც „ვიტ ჯორჯიას“ უკეთესი აქვს...**

— „დინამოს“ და „ამერს“ შინ ვეთამაშებით, მცხეთაში თამაში კი ყველა გუნდისთვის რთულია. ჩვენი მიზანი მუდამ პირველობაა და ვეცდებით, შანსი გამოვიყენოთ. გუნდიც კარგი გვყავს და მწვრთნელიც, პრეზიდენტიც ყველანაირად გვერდით გვიდგას და გვეხმარება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

როველი ვაშაკიძეა კიევის არსენალში?

კიევის „არსენალში“ უცნობი ქართველი ფეხბურთელი გამოჩნდა: გვარად ვაშაკიძე.

მის სახელს ვერცერთ უკრაინულ ვებგვერდზე ვერ მივაკვლიეთ და მხოლოდ ის ვიცით, რომ 1991 წელსაა დაბადებული.

საინტერესოა, რომ ვაშაკიძემ კიევურ დერბიში, ცსკა-სთან ამხანაგურ მატჩში 46-ე წუთზე გიორგი დემეტრაძე შეცვალა.

„არსენალმა“ ეს შეხვედრა 3:1 მოიგო, თუმც ჩვენიანებს არ გაუტანიათ.

ილია ნანოგაშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ელიავა ამკარშია

ზაალ ელიავა რომ რიგის „სკონტოდან“ წამოვიდა, ეს უკვე გვეწერა.

მართალია, საქართველოს ნაკრების მარცხენაფლანგელს რიგელებთან კიდევ ნახევარი წლით აკავშირებს კონტრაქტი, მაგრამ თუ რუსული პრემიერლიგის პერმის „ამკარი“ ლატვიელებს შეუთანხმდება...

დიახ, ელიავა „ამკარშია“ — ჯერჯერობით, გასინჯვაზე. მან ერთი საკონტროლო მატჩის გამართვაც მოასწრო. თურქულ შეკრებაზე პერმელებმა ვარშავის „ლეგიას“ 2:0 სძლიეს. ელიავამ პირველი ტაიმი ითამაშა, პერმელებმა კი გოლები მეორეში გაიტანეს.

აქვე გეტყვით, რომ „ამკარში“ ამასწინათ ირაკლი მოდებაძეც იყო გასინჯვაზე, თუმც გუნდის სერბმა მწვრთნელმა მიოდრაგ ბოჟოვიჩმა მისი დატოვება არ ისურვა.

ილია ნანოგაშვილი

მენთეშაშვილის თამაში იგვიანებს

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა ლატვიურმა „ვენტსპილსმა“ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და ისევ არ უთამაშია ახალგამოჯანმრთელებულ ზურაბ მენთეშაშვილს.

„ვენტსპილსმა“ უკრაინის უმაღლესლიგელ ახტირსკის „ნეფტიანიკთან“ 1:1 ითამაშა.

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი თურქეთში გუნდთან ერთად ვარჯიშობს, „ვენტსპილსის“ თავკაცი რომან გრიგორჩუკი მას ჯერ მაინც არ ათამაშებს.

კახა შალამბერიძე

ორბელაძეს უკრაინა ალარ გამოუვიდა...

ზურაბ დოლიძეგვაშვილის ფოტო

უკრაინულ „ზაკარპატიეში“ გასინჯვაზე მყოფ სერგო ორბელაძეს შინ დაბრუნება მოუწევს.

უკრაინული ვებგვერდების ცნობით, კლუბის გენერალურმა დირექტორმა ივან შიცმა გააკეთა განცხადება, რომ კლუბი უარს ამბობს ქართველი ფეხბურთელის დატოვებაზე.

სავარაუდოდ, ორბელაძე რუსთავის „ოლიმპს“ დაუბრუნდება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ახალი ქართველობა სომხურ ფეხბურთში

სომხეთში „ქართული“ საკონტროლო დერბი შედგა: ლევან აკობიას „ულისეს“ 1:3 წააგო „განძასართან“, რომლის შემადგენლობაში ერთბაშად ოთხმა ქართველმა ითამაშა — გაგა თბილაშვილმა, დავით ხანიშვილმა, მანუჩარ კვიციანმა და მამუკა მენთესაშვილმა. მათგან ორმა — თბილაშვილმა და ხანიშვილმა — გოლებიც გაიტანა.

აკობია „ულისეში“ დარჩება, ეს გადაწყვეტილი ამბავია, ისევე, როგორც თბილაშვილი „განძასარში“, ხოლო ხანიშვილს, მენთესაშვილს და კვიციანს მწვრთნელები ჯერ კიდევ აკვირდებიან, თუმც სომხური ვებგვერდების ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ისინი მომავალ სეზონში „განძასარში“ ითამაშებენ.

ერთიც: „ულისემ“ უარი თქვა საქართველოდან ჩასულ კიდევ ერთი ფეხბურთელ ედუარდ კაზარიანზე, რომლის თაობაზეც ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

თარგამაძის ლამაზი და მომგებიანი

ბადრი კეთილაძის ფოტო

გერმანულ 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში მორიგი ტური ჩათამაშდა და წინასგან განსხვავებით, ამჯერად დავით თარგამაძის „ფრაიბურგმა“ მოიგო, ლევან ყენიას „შალკემ“ კი ფრედ ითამაშა.

ფრაიბურგელმა ქართველმა ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა 44-ე წუთზე, საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერი დარტყმით — „ფრაიმ“ 2:1 სძლია „მაინცს“ და მესამე ადგილზეა თავის ზონაში.

„რაჰმან საიოდურგუ და დავით თარგამაძე „ფრაიბურგის“ U-19-ის საუკეთესო ფეხბურთელები არიან. ორივე ძალიან ნიჭიერი, სწრაფი ტექნიკურია, მათ ყველაზე დიდი შანსი აქვთ, მალე გადავიდნენ ძირითად გუნდში“ — წერს კლუბის ვებგვერდი.

ლევან ყენიას „შალკე“ კი 2:2-ზე გაეყარა „ბოხუმის“ თანატოლებს. ამ მატჩიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ ქართველს გოლი არ გაუტანია.

ილია ნანოგაშვილი

სირაძეს თურქეთი გაარკვევს

საქართველოს ნაკრების თავდამსმხელმა დავით სირაძემ გერმანულ „პადერბორნთან“ კონტრაქტი კი გაწყვიტა, მაგრამ ნალჩიკის „სპარტაკთან“ ჯერ არაფერი გაურკვევია.

რუსული „სპორტ-ექსპრესის“ ცნობით, ნალჩიკური კლუბი სირაძეს მორიგ თურქულ შეკრებაზე წაიყვანს და საბოლოოდ იქ გადაწყდება მისი საკითხი.

„ნალჩიკი“ შეკრებაზე ხვალ გაემგზავრება და 10 მარტამდე დარჩება. სირაძეს თავის გამოჩენის შანსი საკონტროლო მატჩებში მიეცემა.

„ნალჩიკი“, რა თქმა უნდა, კიდევ ორ ქართველს იახლებს — ალექსანდრე ამისულაშვილი და გოგიტა გოგუა გუნდის სრულუფლებიანი წევრები არიან.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გვაზავა-ჩიხრაძე კი. ვიეირა?

ჟილვან ვიეირა

ბადრი კეთილაძის ფოტო

ქართველი ნახევარმცველი ლევან გვაზავა და მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერიასთან“ ერთად იაპონიაში გაემგზავრნენ.

„ლუჩ-ენერგია“ ახლახან დაბრუნდა თურქეთიდან, რუსეთის პრემიერლიგის დაწყებამდე კი სამეზობლოში მოემზადება.

თურქეთში ვლადივოსტოკელებმა ამხანაგური მატჩები ჩაატარეს და გვაზავა ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავის გუნდში. ჩიხრაძე კი ტრავმის გამო უქმობდა.

და ერთიც: რუსული „სპორტ-ექსპრესის“ ცნობით, „ლუჩ-ენერგიაში“ „ზესტაფონის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟილვან ვიეირა უნდა ჩასულიყო, თუმცა იაპონიაში წამსვლელთა სიაში მისი გვარი არ წერია.

კახა შალამბერიძე

კაუნასი ორი ქართველით დამარცხდა

ნუკრი მანჩხავამ და აკაკი ხუბუტიამ თურქულ შეკრებაზე „კაუნასში“ მორიგი ამხანაგური მატჩი ჩაატარეს ავსტრიულ „აუსტრიასთან“ და 2:3 დამარცხდნენ.

მანჩხავა ძირითად შემადგენლობაში იყო და პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

რაც შეეხება ხუბუტიას, იგი თამაშში შესვენების შემდეგ ჩაერთო.

არ უთამაშია კაუნასელთა მესამე ქართველ ლეგიონერ გივი კვარაცხელიას, რომელიც ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

კახა შალამბერიძე

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	პალერმო 2:1	90	გააფრთხილეს	19	0	4
ლევან მჭედლიძე	ემპოლი	შ	კატანია 2:0	0	ტრავმირებულია	0	0	14
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	შ	ბოლტონი 4:1	90		12	0	9
ავსტრია. მაძსბუნდესლიგა								
გიორგი შაშიაშვილი	შტურმი	შ	ლინცერი 1:2	90		24	0	5
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	ლევერკუზენი 0:1	87	გააფრთხილეს, შეცვალეს	9	1	5
ალექსანდრე იაშვილი	კარლსრუე	შ	შტუტგარტი 1:3	72	შეცვალეს	17	0	6
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
მათე ღვინიანიძე	მიუნხენ 1860	ს	კიოლნი 0:0	0	ტრავმირებულია	13	0	7
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	ჰოფენჰაიმი 0:2	0	განაცხადში არ იყო	2	0	5
გიორგი ონიანი	კარლ ცაისი	ს	მაინცი 2:2	0	სათადარიგო	9	0	17
ილია კანდელაკი	კარლ ცაისი	ს	მაინცი 2:2	0	სათადარიგო	10	0	17
გიორგი სეთურიძე	კარლ ცაისი	ს	მაინცი 2:2	0	განაცხადში არ იყო	0	0	17
ესპანეთი. პრიმერადივიზიონი								
შოთა არველაძე	ლევანტე	ს	ბარსელონა 1:5	0	განაცხადში არ იყო	0	0	20
შვეიცარია. სუპერლიგა								
სანდრო იაშვილი	თუნი	ს	სენტ გალენი 0:3	27	შეცვლაზე შევიდა	15	1	10
ჩეხეთი. გამბრინუსლიგა								
გიორგი განუგრავა	ბოლესლავი	ს	კლადნო 1:0	0	სათადარიგო	0	0	7

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

კაპელო არ დამანახოთ!

„სამპდორიას“ ფორვარდმა ანტონიო კასანომ ფაბიო კაპელოზე სალაპარაკოდ მოიცალა.

„რომაში“ ყოფნისას კაპელო კასანოს შვილივით ევლებოდა თავს, მაგრამ მადრიდის „რეალში“ მათი ურთიერთობა წახდა. მწვრთნელი ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებდა და ფორვარდმაც „სამპდორის“ მიაშურა.

„თუ კაპელოს ჩემზე კარგი რამეები უთქვამს, ესე იგი, დავიმსახურე — განაცხადა კასანომ — მასზე ცუდი არასოდეს წამომცდენია, თუმც ყოველთვის პირდაპირ ვეუბნებოდი, რასაც ვფიქრობდი. ძალიან მიხარია, რომ იტალიაში ერთმანეთს საკლუბო დონეზე არ ვხვდებით, მაგრამ იტალიის ნაკრები ინგლისისას თუ გადაეყრება და მე ნაკრებში ვიქნები, კაპელოს დანახვაზე გული შემიწუხდება“.

„ინტერის“ კარში გოლის გამტანმა კასანომ ისიც თქვა, რომ ჯამაგირის შემცირებაზეც თანახმაა, ოღონდ კი „სამპდორიაში“ დატოვონ: „გუნდი ძალიან მიყვარს, ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, ქომაგებიც პატივს მცემენ და კლუბის გამოცვლა არ მსურს. 15-20 პროცენტით ხელფასის დაკლებაზეც ყაბულს ვარ, ოღონდ აქედან აღარ გამიშვან. ადრე ბევრს მივქარავდი, ხან მსაჯებს ვეჩხუბებოდი, ხან მეტოქე ფეხბურთელებს და ამ მხრივაც გამოვსწორდი. თანაგუნდელებს ვუთხარი, რომ როგორც კი გაბრაზებას შემამჩნევენ, მსაჯისგან რაც შეიძლება შორს გამათრიონ“.

ვაჟა ხუციშვილი

პრეზიდენტი არ ხუმრობს
ეს ხომ ნაგავია!

ჩემპიონთა ლიგას ერთი გერმანული გუნდი შემორჩა, „შალკე“, მაგრამ კლუბის გაუმაძღარ ქომაგებს ამით ვერ დააპურებ.

შაბათს „ხუმარებმა“ „ლევერკუზენთან“ სტუმრად 0:1 წააგეს. ეს იყო ზედიზედ მეორე მარცი და გელზენკირხენელები „ბაიერნს“ უკვე 9 ქულით ჩამორჩებიან. „ლევერკუზენამდე“ ჩემპიონატში „შალკე“ შინ „ვოლფსბურგთან“ 2:1 დამარცხდა. ექვსმა განიავებულმა ქულამ გუნდი უკან დაქაჩა და პირველობისათვის ბრძოლა გაუჭირდება.

გაავებული ფანები გასულ შაბათს ლევერკუზენის სტადიონზე ნამატჩევს ყვიროდნენ: „მოაშორეთ სლომკა!“ მათთვის დიდი შვება სულაც არაა ის, რომ გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „პორტუ“ დაამარცხა (1:0) და მეოთხედფინალში გასვლის შანსი აქვს. გულშემატკივრები გრძნობენ — „შალკე“ ლიგის მომგებს არ ჰგავს და ამიტომ ბუნდესლიგას უნდა მიხედოს.

კლუბის პრეზიდენტმა იოზეფ შნუსენბერგმაც არ დააკლო კრიტიკა გუნდს და თქვა: „ჩვენ „ლევერკუზენთან“ ფეხბურთი არ გვითამაშია. ეს იყო ნაგავი და შედეგადაც ნაგავი მივიღეთ. ამიტომ არც გამკვირვებია, რომ ფანებმა მწვრთნელის მოხსნა მოითხოვეს. ადრე თუ გვიან, ეს მოხდებოდა. დიდი ოპტიმიზმის მიუხედავად, საეჭვოა, „შალკემ“ ჩემპიონთა თასი მოიგოს და მომავალ სეზონში ამ ტურნირში ისევ ითამაშოს. აშკარაა, რომ რაღაც უნდა შეცვალოთ. მომდევნო ტურში „ბაიერნს“ ვმასპინძლობთ და ალბათ ამ მატჩსაც წავაგებთ“.

ვაჟა ხუციშვილი

XXV ტური	
დღეს	
იუვენტუსი	ტორინო
ხვალ	
სიენა	კალიარი
პალერმო	ემპოლი
ფიორენტინა	ლივორნო
კატანია	მილანი
ჯენოა	ნაპოლი
ლაციო	რეჯინა
ინტერი	რომა
ატალანტა	სამპდორია
პარმა	უდინეზე

იტალია

აბა, თუ უნდა რომას სკუდეტო?!

დღეს სერია A-ს 25-ე ტური ტურინული დერბით გაიხსენა, თუმც ცენტრალურ მატჩად, თქმა არ უნდა, ხვალინდელი შეხვედრა მიიჩნევა — მილანის „ინტერი“ „სან სიროზე“ „რომას“ უმასპინძლებს და ვინაიდან დიდი ჯახია, ანონსი ამ შეხვედრით დავიწყოთ.

სადღეისოდ „ნერაძური“ „ჯალოროსის“ 9 ქულით უსწრებს. გასულ უქმეებზე „ინტერის“ გენუაში ფეხის დაცდენამ („სამპდორიასთან“ 1:1) „რომას“ მიახლოვების შანსი გაუჩინა, რაც ლუჩანო სპალეტის შეგირდებმა ბრწყინვალედ გამოიყენეს, საკუთარ „ოლიმპიკოზე“ „ფიორენტინას“ 1:0 სძლიეს.

„ახლა ჩვენ მხოლოდ „ინტერთან“ თამაშზე ვფიქრობთ — ასეთი მოკლე კომენტარი გააკეთა ფლორენციელებთან ნამატჩევს ლუჩანო სპალეტიმ პრესკონფერენციაზე, როცა ჟურნალისტებმა იმ მატჩის შეფასება სთხოვეს — ძალიან მნიშვნელოვანი დუელი გველის, თუ ჩვენ სკუდეტო ნაღდად გვინდა, სწორედ ამ შეხვედრაში უნდა გამოვაჩინოთ, რეალურად რისი მაქნისები ვართ“.

„რომას“ „სან სიროზე“ ბოლო ხანს „ინტერისთვის“ ორჯერ მოუგია, ბოლოს შარშან, აპრილში დაამარცხა 3:1. მართალია, ეს სათასო მატჩები გახლდათ, მაგრამ პრინციპული დაპირისპირებისას მნიშვნელობა ამასაც ენიჭება.

ფრანჩესკო ტოტი და „ძმანი მისნი“ კბილებს ილესავენ. ერთადერთი სამწუხარო სპალეტის ის აქვს, რომ ახალგაზრდა შუახაზელ ალბერტო აკვილანის ვერ დაიხმარს. მან „ფიორენტინასთან“ მატჩში ტრავმა მიიღო.

და როგორ ემზადებიან „ინტერის“ ბანაკში? „ნერაძურიმ“ მშვენივრად იცის, რომ ამ თამაშის მოგებით ისინი ჩემპიონის ტიტულს თითქმის გაინაღდებენ. „ინტერის“ მოგების შემთხვევაში 12-ქულიანი ჰანდიკაპის ამოქაჩვა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

რობერტო მანჩინის, მილანელთა თავკაცს, პრობლემები დაცვაში აქვს: გეხსომებათ, ტრავმირებულნი არიან ვალტერ სამუელი და ივან კორდობა, ორივე ცენტრალური მცველი და ვის შეუწყვილებს მარკო მატერაცის, ამას თამაშის წინ გადაწყვეტს. კანდიდატი სამიაა — ნიკოლას ბერდისო, ნელსონ რივსი ან კრისტიან კივუ.

კივუს გახსენებაზე: პირველ წრეში, როცა „ინტერმა“ „რომას“ „ოლიმპიკოზე“ 4:1 მოუგო, რუმინელმა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ პირველად ითამაშა და მაშინ კივუმ ტრიბუნების გამაყრუებელი სტვენაც გაიყოლა სახლში.

ტაქტიკურად მწვრთნელები, სავარაუდოდ, არაფერს შეცვლიან: მანჩინი, კლასიკურ 4-4-2 სქემით აპირებს თამაშს, სადაც დამრტყმელი ძალა იბრაჰიმოვიჩ-კრუზის დუეტი იქნება. სპალეტის საყვარელი განლაგება კი 4-2-3-1 გახლავთ: ცენტრფორვარდის პოზიციაზე მოთამაშე ტოტის, ზურგს ჟიული (მარცხნივ), პეროტა (შუაში) და მანსინი (მარჯვნივ) გაუმაგრებენ.

ახლა სხვა მატჩებზეც. ზემოთაც გითხარით, ტურში მეორე გამორჩეული მატჩია, ტურინული დერბი, „დერბი დელა მოლე“. „იუვენტუსმაც“ და „ტორინომაც“ წინა ტურში მაგარი ამბები გადაიტანეს. „იუვე“ „რეჯინასთან“ 1:2 მარცხს მსაჯ დონდარინის აბრალებს, 90-ე წუთზე არარსებული თერთმეტმეტრიანი გამოგვიგონაო. ცნობისთვის: ამ სეზონში „იუვეს“ კარში უკვე მეშვიდე პენალტი დაინიშნა და მეტოქეებმა შვიდივე გაიტანეს.

ერთი დღით ადრე გაითამაშეს თრილერი „ტორინომ“ და „პარმამ“. როცა სერია A-ზე ამბობენ, გოლები ტურში ნაკლებად გადისო, მათ გასულ შაბათს, არც მეტი, არც ნაკლები, 4:4 ითამაშეს.

„ტოროს“ მწყობრში ყველა ჰყავს და საძულველ მეტოქესაც ემუქრება, მოვიგებო, მაგრამ ეს ვინძლო, გაუჭირდეს — „იუვეს“ ტრავმამოშუშებული მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი უბრუნდება და რამხელა ძალაა, ბუფონი „იუვენტუსისთვის“, ამაზე ახლა არ შევჩერდებით. კაპიტან ალესანდრო დელ პიეროს თავდასხმაში მეწყვილეობას ისევ სერია A-ს ბომბარდირი დავიდ ტრეზეგე გაუწევს, რომელმაც „რეჯინასთან“ შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

სხვა რა? „მილანის“ მატჩიც გამოვარჩიოთ „კატანიასთან“. წინა ტურში „პალერმოსთან“ მძიმე მოგების შემდეგ, კარლო ანჩელოტის გუნდი, როგორც იქნა, სასურველ ოთხეულში შეძვრა და ფეხის დაცდენის უფლება რომ აღარ აქვს, ცხრილიდანაც ნათლად ჩანს, „ფიორენტინა“ კუდზე აზის.

ბოლო ცნობით, საეჭვოა რიკარდო კაკას თამაში. „როსონერის“ ლიდერმა „პალერმოსთან“ მატჩის პირველ ტაიმში მიიღო ტრავმა და ანჩელოტიმ იგი შესვენებისას შეცვალა. არაა გამორიცხული, რომ სათადარიგოთა სკამზე გადაჯდეს ალბერტო ჯილარდინო. „ჯილას“ სიცილიელებთან არაფერი გაუკეთებია, შეცვლაზე შესულმა ფილიპო ინძაგიმ კი გამარჯვების გოლი გამოადნო. ასე რომ, ალეშანდრე პატოს მეწყვილეობას სწორედ სუპერპიპო გაუწევსო. ვნახოთ...

გიორგი ჯაფაკიძე

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	ინტერი				2:1		1:1	3:0	4:1	2:1		2:1	4:0	3:0	1:0	2:0	2:0		3:2			24	18	6	0	49:14	60	11	1	0	29:7	34	7	5	0	20:7	26
2	რომა	1:4		2:2		1:0	2:1	2:0			1:0	4:4		3:2		2:0		3:0		2:0	2:0	24	15	6	3	41:23	51	9	2	1	25:13	29	6	4	2	16:10	22
3	იუვენტუსი	1:1	1:0				0:1	0:0	1:0	1:0	5:0				3:0		5:1	2:0		4:0	1:1	24	13	8	3	44:21	47	8	3	1	24:4	27	5	5	2	20:17	20
4	მილანი		0:1	0:0		1:1			2:0		2:1	5:2	0:0		0:1	1:1	1:1	1:0	1:1			24	11	8	5	36:18	41	4	6	2	14:9	18	7	2	3	22:9	23
5	ფიორენტინა	0:2	2:2	1:1	0:1		1:2			2:2		1:0	2:1		3:1	2:1		3:0			5:1	24	11	8	5	36:23	41	6	3	3	22:14	21	5	5	2	14:9	20
6	უდინეზე	0:0		1:2	0:1			3:2	3:5		1:1	0:5	2:1		2:2			2:0	2:1	2:0		24	10	6	8	31:33	36	5	3	4	18:20	18	5	3	4	13:13	18
7	სამპდორია	1:1			0:5	2:2			0:0	3:0	3:0	2:0		0:0	3:0			1:0	3:0	3:0		24	10	5	9	31:27	35	7	4	1	21:8	25	3	1	8	10:19	10
8	ჯენოა		0:1		0:3	0:0	3:2	0:1		2:1	3:3					2:1	1:1	1:3	1:0		2:0	24	8	8	8	28:33	32	5	3	4	15:16	18	3	5	4	13:17	14
9	ატალანტა		1:2		2:1	2:2	0:0				1:3	5:1	2:2	2:1				2:2	2:0	2:2	2:2	24	7	10	7	36:37	31	4	6	2	23:18	18	3	4	5	13:19	13
10	პალერმო	0:0	0:2		2:1	2:0						2:1	1:1	2:2			1:0	2:3	1:1	1:1	2:1	24	8	7	9	32:40	31	5	5	2	16:13	20	3	2	7	16:27	11
11	ნაპოლი			3:1			3:1	2:0	1:2				1:1	2:2	1:3	2:0	1:0		1:0	1:1	0:2	24	8	6	10	36:38	30	6	3	3	18:13	21	2	3	7	18:25	9
12	ტორინო		0:0	0:1				1:0	1:1		3:1			0:0		1:1	1:2	1:1	4:4	2:2	2:0	24	4	14	6	27:30	26	3	7	2	16:13	16	1	7	4	11:17	10
13	ლაციო			2:3	1:5	0:1	0:1	2:1	1:2	3:0			2:2		0:0	2:0			1:0		3:1	24	6	8	10	27:32	26	5	2	5	17:16	17	1	6	5	10:16	9
14	ემპოლი	0:2	2:2			0:2			1:1	0:1	3:1	0:0	0:0	1:0		2:0				1:1	4:1	24	6	7	11	21:30	25	4	5	3	14:11	17	2	2	8	7:19	8
15	კატანია	0:2		1:1		0:1	2:0	2:0	0:0	1:2	3:1				1:0		1:0		0:0			24	5	8	11	20:30	23	5	3	3	11:7	18	0	5	8	9:23	5
16	ლივორნო	2:2	1:1	1:3		0:3	0:0	3:1	1:1	1:1	2:4	1:2		0:1	1:0							24	5	8	11	26:38	23	2	5	5	13:19	11	3	3	6	13:19	12
17	სიენა	2:3	3:0		1:1			1:2		1:1		1:1	0:0	1:1	3:0	1:1	2:3			0:0		24	4	10	10	27:34	22	2	7	3	16:13	13	2	3	7	11:21	9
18	პარმა		0:3	2:2	0:0	1:2				2:3			2:0		1:0	2:2	3:2	2:2		3:0	1:1	24	4	10	10	29:37	22	4	5	3	19:17	17	0	5	7	10:20	5
19	რეჯინა	0:1	0:2	2:1	0:1	0:0	1:3		2:0	1:1			1:3	1:1		3:1	1:3				2:0	24	4	9	11	21:38	21	4	3	6	14:17	15	0	6	5	7:21	6
20	კალიარი	0:2		2:3	1:2		0:1	0:3			0:1	2:1		1:0		1:1	0:0	1:0	1:1			24	4	6	14	19:41	18	3	3	6	9:15	12	1	3	8	10:26	6

„იუვენტუსი“ ნიკოლა ამორუზოს ამ პენალტით დამარცხდა

იუვენტუსი აჯანყდა

პრეზიდენტმა მსაჯებს წერილით შეუტია

მსაჯებისგან დაჩაგრულმა „იუვენტუსმა“ ფეხბურთის ფედერაციასა და მსაჯთა ასოციაციაში საპროტესტო წერილი აფრინა.

შაბათს „რეჯინასთან“ სტუმრად „იუვემ“ 1:2 წააგო. არბიტრმა პაოლო დონდარინიმ ბოლო წუთზე ტურინელთა კარში პენალტი დანიშნა, რომელიც ნიკოლა ამორუზომ გაიტანა. „იუვენტუსის“ მწვრთნელ-ფეხბურთელ-პატრონთა აზრით, მანამდე მათ სულ მცირე, ორი პენალტი ეკუთვნოდათ: ერთხელ სისოკოს, მეორედ კი ნედვედის წაქცევისთვის. გარდა ამისა, რეჯინელ ფეხბურთელებს კარისკენ მიმავალი ბურთი ორჯერ მოხვდათ ხელზე, მაგრამ არბიტრი „დაბრმავდა“.

ტურინელთა კარში კი დონდარინიმ პენალტი მოიგონა — საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთის მოგერიება სისოკომ მაკრატელათი სცადა, მის გვერდით იყო ერთ-ერთი რეჯინელი, რომელსაც სისოკოს მოქნეული ფეხი მოხვდა. ეს საკმარისი გამოდგა მსაჯისთვის, რათა თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიეთითებინა.

ჯოვანი კობოლი ჯილის (კლუბის პრეზიდენტი) და ჟან-კლოდ ბლანის (გენერალური მენეჯერი) ხელმოწერილ ქაღალდზე წერია: „ჩვენს საწინააღმდეგოდ შეცდომები გახშირდა და იძულებულნი ვართ, ფედერაციისგან საქმეში ჩარევა მოვითხოვოთ, რათა მომავალში იგივე აღარ განმეორდეს. ასე თუ გაგრძელდა, „იუვენტუსის“ მწვრთნელთა და ფეხბურთელების შრომა წყალში ჩაიყრება. ზოგიერთი მსაჯის გადაწყვეტილება ამყარებს ეჭვებს, რომ კლუბი კვლავაც ძველი ცოდვებისთვის ისჯება. კალჩოპოლის სკანდალის გამო „იუვენტუსმა“ სასჯელი უკვე მოიხადა და ჩვენი „დეენა“ უნდა შეწყდეს“.

პაოლო დონდარინი იმ მსაჯთაგანია, რომლებიც კალჩოპოლის სკანდალში იყვნენ გარეულნი, თუმცა ეს არბიტრი მაშინ გაამართლეს. ამ სეზონში დონდარინიმ „იუვეს“ მატჩი პირველად განსაჯა.

„იუვენტუსის“ ჩაგვრა თუ არ შეწყდება, ჯოვანი კობოლი ჯილი უცხოელი არბიტრების მოწვევას მოითხოვს: „რეჯინასთანაც“ იგივე მოხდა, რაც იქამდე „ნაპოლისთან“ მატჩში იყო. იქაც მსაჯმა წაგვაგებინა. შეუცდომელი არავინ არის, მაგრამ როცა ერთიდაიგივე სისტემატურად მეორდება, უკვე აუტანელი ხდება.

ჩვენმა გუნდმა მეტოქეს თამაშით აჯობა და სამ ქულას იმსახურებდა. ფეხბურთელებთან და მწვრთნელთან პრეტენზია არ მაქვს, დონადონიმ კი საქმეს თავი ვერ გაართვა. არ მინდა, დავიჯერო, რომ „იუვეს“ განგებ ჩაგრავენ, მაგრამ მსაჯების საქციელი ამ აზრისკენ მიბიძგებს. პაოლო დონდარინი ორმეტრში იყო იმ ადგილიდან, სადაც სისოკო წააქციეს და რატომღაც ვერ დაინახა. არ გამოვრიცხავ, თუ უსამართლობა გაგრძელდა, უცხოელი არბიტრების მოწვევა მოვითხოვოთ“.

კლაუდიო რანიერი, „იუვენტუსის“ მწვრთნელი: „ბიჭები დათრგუნულები არიან. მათ გულიანად ითამაშეს და მეორე ტაიმში მეტოქეს აშკარად ჯობეს, მაგრამ ხელში მარცხი შეგვრჩა. ისედაც ვიცოდით, რომ კალჩოპოლის შემდეგ მძიმე სეზონი გვექნებოდა და ალბათ, კიდევ არაერთი წინააღმბის გადალახვა მოგვიწევს. ჩემს ფეხბურთელებს ყოველთვის მივუთითებ ხოლმე შეცდომებზე მატჩის შემდეგ და მათ გამოსწორებას ვცდილობ. ვიმედოვნებ, რომ მსაჯთა უფროსი პიერლუიჯი კოლინაც იგივეს გააკეთებს და პაოლო დონდარინის დაელაპარაკება“.

ვაჟა ხუციშვილი

რონალდო მილანის ღალატს აპირებს

ტურში „როკი“ ვიღაც „ვალგას“ შეხვდა და 95:73 დაჩოქა. ქართველმა უკანახაზელმა „მხოლოდ“ 21 წუთი ითამაშა და 10 ქულას, 6 პასს, 4 ჩაჭრას და 2 მოხსნას მოუკრა პირი. მიუხედავად იმისა, რომ ის ჩვეულად, 35-37 წუთი არ ათამაშეს, ცინცაძემ მაინც შთამბეჭდავი მონაგრით დაასრულა თამაში.

ამასობაში „როკის“ ქართველი გამთამაშებლის სახე ესტონურ საკალათბურთო ჟურნალ „ბასკეტის“ პირველ გვერდზე გამოჩნდა. ახალ ნომერში უამრავი საინტერესო მასალაა ესტონური საკალათბურთო სამყაროს შესახებ, მაგრამ მთავარ თემად გიორგი ცინცაძესთან ინტერვიუა და ქართველი პლეიმეიკერის სურათსაც სრულად უკავია ჟურნალის პირველი გვერდი.

საბერძნეთი

ვლადიმერ ბოისას „არისმა“ გასულ კვირაში ორი მატჩი გამართა — ერთი ევროლიგაში, ერთიც შიდაჩემპიონატში და წაგებ-მოგებას გამორჩა.

ევროსარბიელზე სალონიკელებმა მოსალოდნელი მარცხი იწვნიეს ლიტვაში, „ლიეტუვოს რიტასთან“ (74:89) და საქართველოს ნაკრების ფორვარდმა 18 წუთში 5 ქულა, 2 პასი და 1 მოხსნა მიითვალა. „არისისთვის“ ეს მეორე მარცხი იყო ტოპ-16-ის ჯგუფის მეორე მატჩში და ოთხთა ფინალზე ფიქრიც ძალიან ბუნდოვანი გახდა გორდონ ჰერბერტის გუნდისთვის.

საბერძნეთის ჩემპიონატში კი სალონიკელებმა საამაყო გამარჯვება იზეიმეს. ბოისას გუნდმა თვით ლიდერი „პანათინაიკოსი“ დაამარცხა და ცხრილში მესამეზე მყოფმა, ლიდერებთან ჩამორჩენა კიდევ უფრო შეამცირა. ეგაა, ბოისას ამ გამარჯვებაში უმნიშვნელო წვლილი მიუძღვის. ის 8 წუთი იყო მოედანზე და ვერაფერს გამორჩა — მხოლოდ 2-ჯერ დაჯარიმდა.

ნბა

ზაზა ფაჩულიამ გასულ კვირაში ერთხელ გამოანათა — „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან“ 12 ქულა და ამდენივე მოხსნა მიითვალა, მაგრამ ეს რომ არ იყო ჯანსაღი ორმაგი დუბლი, თამაშის ხასიათიდანაც ჩანდა და მომდევნო მატჩებშიც დადასტურდა. ზაზამ ქულამოხსნათა უმეტესობა ბოლო მეოთხედში მოიხვეჭა, როცა „ლეიკერსს“ გამარჯვება განაღდებული ჰქონდა და მოედანზე ორივე გუნდის მარქაფები იყვნენ.

მომდევნო მატჩებში ზაზა კვლავ სათადარიგო სკამს მიაჯაჭვეს და მისმა სტატისტიკამაც ისევ უბარაქო სახე მიიღო.

ირაკლი პერტაია



ნიკოლოზ ცქიტიშვილი

მარტი, თბილისი, სპორტის სასახლე



გახსოვთ, კიევის „სტროიტელი“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში თბილისის „დინამოს“ რომ ეომებოდა ხოლმე სპორტის სასახლეში? ის „სტროიტელი“, ოღონდაც უკრაინულად „ბუდეველნიკად“ წოდებული, მარტში თბილისში ჩამოვა და სხვა უცხოურ გუნდებთან ერთად განახლებულ სპორტის სასახლეში საინტერესო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

18-19 მარტს თბილისში კოტე მახარაძის სახელობის ოთხთა ტურნირი გაიმართება. ამ შეჯიბრის ინიციატორი რადიო „ჯა-კო“, კონკრეტულად კი, მისი ხელმძღვანელი ჯამლეტ ხუხაშვილი და სპორტის სასახლის დირექციაა.

„უკვე გადაწყვეტილია, რომ 18-19 მარტს სპორტის სასახლე კოტე მახარაძის სახელობის ტურნირს უმასპინძლებს. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ბატონმა კოტემ 1945 წელს საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა. მართალია, ის სათადარიგო იყო, მაგრამ „დინამოში“ ირიცხებოდა და შესაბამისად, თასის მფლობელადაც ითვლება“ — გვითხრა ჯამლეტ ხუხაშვილმა.

ტურნირში მონაწილე 3 გუნდი გარკვეულია: კიევის „ბედველნიკი“, რომელიც უკრაინის უმაღლეს ლიგაში ლიდერთა შორისაა, ისრაელის მეორელიგელი თელ ავივის „ჰაპოელი“ და თბილისის „მაკაბი“. მეოთხე მონაწილე ან აზერბაიჯანის ნაკრები იქნება, ანაც ერთ-ერთი თურქული გუნდი.

„უკრაინულ და ებრაულ კლუბებთან უკვე ყველაფერი შეთანხმებულია. „ბუდეველნიკი“ და „ჰაპოელი“ თბილისში ჩამოვლენ და მხოლოდ მგზავრობის ხარჯებს გაიღებენ — ამბობს ხუხაშვილი — თბილისში ცხოვრებას და კვებას ჩვენ ვუზრუნველყოფთ. აზერბაიჯანის ნაკრებმა შემოგვითვალა, ოღონდ მიგვიწვიეთ და ყველა ხარჯს საკუთარ თავზე ვიღებთო. ახლა კი ქრობთ, აზერბაიჯანელები მოიწვიოთ, თუ რომელიმე თურქული კლუბი, თუმც ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ „ბუდეველნიკი“ და „ჰაპოელი“ დაგვთანხმდნენ და გუნდები 16-17 მარტს უკვე თბილისში იქნებიან“.

თბილისური „მაკაბი“ საქართველოს ჩემპიონატიდან აპირებს რამდენიმე მოთამაშის დამატებას, რათა კლასით გაცილებით მაღლა მდგომ გუნდებს დირსეული მეტოქეობა გაუწიოს.

ირაკლი პერტაია

გატეხილი თასიდან ეროვნულ სტადიონამდე

ვაჟა ჟღენტმა რვა ათეული დაამრგვალა



დღეს ცნობილ ქართველ კალათბურთელს, ვაჟა ჟღენტს 80 წელი შეუსრულდა. ბატონი ვაჟა არის საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, ორგზის თასის მფლობელი, 10 ქალაქის ნაკრებთა ტურნირის გამარჯვებული და უამრავ სხვა ჯილდოს მფლობელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, საპატიო დინამოელის ოქროს მედლის მფლობელი. წლების მანძილზე იყო ქართული სპორტის დედაალაგის, „ეროვნული“ სტადიონის დირექტორი.

— 50-იანი წლების თბილისის „დინამო“ შესანიშნავი გუნდი იყო და თავის წონიან სიტყვასაც ამბობდა საბჭოთა კალათბურთში. წარმატება არაერთი იყო, თუმც არც მარცხისგან ვიყავით დაზღვეული. ყველაზე ცუდად მაინც 1952 წლის თასის ფინალის წაგება მახსენდება. შევატყვე, რომ თამაშს ვეღარ მოვიგებდით და ერთ-ერთ თანგუნდელს ვუთხარი, ბურთი იმ დროს მოეწოდებინა, როდესაც თასთან ახლო ვიქნებოდი, რომელიც მოედნის კიდესთან, მაგიდაზე იდგა. მე კი შეგნებულად მაგიდის ქვეშ შევვარდი, გადავბრუნე და რუსებს გატეხილი თასი გავატანე.

შემდგომი, უკვე სამსახურებრივი პერიოდიდან კი განსაკუთრებით ის ეპიზოდი მახსენდება, „დინამოს“ სტადიონზე ცელოფანი რომ ვადავაფარებინე, რათა მოედანი არ დათოვლილიყო, მეორე დღეს ხომ „დინამო“ უმნიშვნელოვანეს თამაშს ატარებდა — იხსენებს ვაჟა ჟღენტი.

ლეჭსო მაისურაძე

კალათბურთის ფედერაცია 80 წლის იუბილეს ულოცავს ვეტერან კალათბურთელ ვაჟა ჟღენტს და უსურვებს ჯანმრთელობას

NBA რეგულარული ჩემპიონატი

უზარმაზარი მუხრუჭი

24 თებერვალი

ფინიქსი 86:116 დეტროიტი

ფინიქსი: სტუდემაიერი (31), ბარბოსა (18), ნეში (11)

დეტროიტი: ვოლესი (22), ჰამილტონი (18), ჰეიესი (18), ბილაფსი (14 ქულა, 11 პასი), მაკდაიესი (12 ქულა, 13 მოხსნა)

ჰიუსტონი 110:97 ჩიკაგო

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (24), სკოლა (17), ჯეკსონი (14), ალსტონი (13), მინი (12)

ჩიკაგო: ტომასი (18), ჰიუსტონი (13)

კლივლენდი 109:89 მემფისი

კლივლენდი: ჯეიმსი (25 ქულა, 11 პასი), ილგაუსკასი (22 ქულა, 13 მოხსნა)

მემფისი: უორიკი (21), გაი (19)

სიეტლი 91:111 ლეიკერსი

სიეტლი: გელაბალე (21), დურანტი (15)

ლეიკერსი: გასოლი (22), ბრაიანტი (21 ქულა, 10 პასი), ოდომი (19 ქულა, 11 მოხსნა)

პორტლენდი 102:112 ბოსტონი

პორტლენდი: აუთლოო (24), ჯეკი (17)

ბოსტონი: პირსი (30), ალენი (19)

მინესოტა 83:99 დალასი

მინესოტა: ჯეფერსონი (22), მაკკანტსი (17)

დალასი: ნოვიცკი (29), ტერი (20), კიდი (12 ქულა, 17 პასი, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა)

ტორონტო 115:92 ნიუ იორკი

ტორონტო: ბარნანი (15), ბოში (17), პარკერი (16), ფორდი (15)

ნიუ იორკი: კროუფორდი (26), რობინსონი (20)

ორლანდო 112:93 საკრამენტო

ორლანდო: ჰოვარდი (26 ქულა, 10 მოხსნა), ლუისი (16)

საკრამენტო: არტესტი (23), მარტინი (21 ქულა, 10 მოხსნა), მილერი (17)



შაილ ონილის მისვლის შემდეგ „ფინიქსის“ სამზარეულოში ბევრი რამ აირია

აღმოსავლეთი					დასავლეთი			
ატლანტიკა				NBA	სამხრეთ-დასავლეთი			
ბოსტონი	42	12	77,8	NBA	სან ანტონიო	37	17	68,5
ტორონტო	30	24	55,6	NBA	ნიუ ორლეანი	37	17	68,5
ნიუ ჯერსი	25	31	44,6	NBA	დალასი	37	19	66,1
ფილადელფია	25	32	43,9	NBA	ჰიუსტონი	36	20	64,3
ნიუ იორკი	17	39	30,4	NBA	მემფისი	14	42	25,0
ცენტრალური					ჩრდილო-დასავლეთი			
დეტროიტი	41	15	73,2	NBA	იუტა	36	20	64,3
კლივლენდი	32	24	57,1	NBA	დენვერი	33	22	60,0
ჩიკაგო	22	33	40,0	NBA	პორტლენდი	29	27	51,8
ინდიანა	22	34	39,3	NBA	სიეტლი	15	40	27,3
მილუოკი	21	35	37,5	NBA	მინესოტა	11	43	20,4
სამხრეთ-აღმოსავლეთი					წყნარი ოკეანე			
ორლანდო	36	22	62,1	NBA	ლოს-ანჯელესი	39	17	69,6
ვაშინგტონი	26	29	47,3	NBA	ფინიქსი	38	18	67,9
ატლანტა	22	31	42,9	NBA	გოლდენ სტეიტი	33	22	60,0
შარლოტი	19	37	33,9	NBA	საკრამენტო	26	29	47,3
მაიამი	9	44	17,0	NBA	კლიპერსი	19	34	35,8

შაილ ონილი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოწინააღმდეგეებს აშინებდა ზომა-წონით, ახლა კი ის თავისიანებს უფრო აშინებს, იმდენად ცუდად თამაშობს. გაცვდა დევშაკი, რამდენიმე დღეში 36 წლის ხდება და ძნელი გასარკვევია, მისი მისვლით „ფინიქსმა“ იხეირა თუ იზარალა. კვირას არიზონელები 2004 წლის ფინალში შაკის არგამჭაჭანებელ დეტროიტელებს მსპინძლობდნენ და საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ სარეკორდო სხვაობით დამარცხდნენ. შაკმა 33 წუთში 11 ბურთი კი მოხსნა (სხვა თუ არაფერი, ფარქვეშ მყარად მაინც დგას ფეხზე), მაგრამ თამაშიდან მხოლოდ 3 სროლა ჩააგდო, 8 საჯარიმოდან 7 აცილა და 7 ქულა შეაკოწიწა. ეგ კიდევ არაფერი, „ფინიქსისთვის“ ყველაზე ცუდი ისა ჩანს, რომ ბებერი დევის მისვლის შემდეგ ეს გუნდი ძველებურად სწრაფ და ლაღ კალათბურთს ველარ ითამაშებს და ვერც გამთამაშებელი სტივ ნეში ისხმარტალებს მეტოქეთა თავგზაანეულ მცველებში, რაკი გუნდი შაკის გადამკიდე სწრაფად ველარ გადადის დაცვიდან შეტევაზე. ნეშმა მხოლოდ 11 ქულა და 6 პასი გააკეთა, გრანტ ჰილს ქულაც არ გაუკეთებია, რაჯა ბელმა მხოლოდ 8 შეაკოწიწა, ბორის დიაუმ სულ რაღაც 2... მოკლედ, ეს იყო „ფინიქსის“ უცუდესი თამაში მიმდინარე სეზონში და ვნახოთ, რა მოუვათ „მზეებს“ ხვალ და ზეგ.

შაკმა კი ბოდიშივით თქვა, ახალ გუნდში ჯერ მხოლოდ მესამე მატჩი ჩავატარე და იმედია, უკეთ ავთამაშდებითო.

ჯერჯერობით ნბა-ს ყველაზე თამამი მიმომხილველიც ვერ იტყვის, შაკი „ფინიქსს“ მოუხდაო, სამაგიეროდ, „დალასს“ მშვენივრად მოერგო ჯეისონ კიდი. 35-ს მიტანებული თეთრი გამთამაშებელი 13 წლის წინ სწორედ ამ გუნდში იწყებდა კარიერას, რომლის განმავლობაშიც ერთხელაც ვერ გახდა ჩემპიონი და კარიერის დაისზე ამ ნავსის გატეხვის იმედით დაბრუნდა ტეხასში. კვირას „დალასი“ მინესოტაში იქაურ „მგლებს“ ეომა და კიდმა 12 ქულის პარალელურად 17 პასი გააკეთა, რითაც სეზონის რეკორდი გაიმეორა. ჩემთვის მთავარია, ღია თანაგუნდელი ვიპოვო და დროული პასი მივცე. ამ ფილოსოფიას მთელი ცხოვრება ვუერთგულე და ახლა რაღატომ უნდა ვუღალატოო — ამბობდა კიდი.

თამაში კი დაძაბული გამოდგა, პირველი მეოთხედი 24:24 დამთავრდა, მეორეც ასევე 24:24, მესამე 23:23 და „დალასმა“ ბოლო მეოთხედშიღა გატეხა „მინესოტა“.

ახალ გუნდს მშვენივრად შეეწყო პაუ გასოლიც, რომლის „ლეიკერსმაც“ ესპანელის 22-ქულიანი გარჯის და კიდევ ექვსი მოთამაშისგან შემოწირული 10 და მეტი ქულის წყალობით დამაჯერებლად ჩაიწერა სიეტლში გამარჯვება, რომელიც ზედიზედ მერვე გახლდათ.

რა გასაკვირია და „ჰიუსტონმაც“ მოიგო, რომელიც ისეთ გუნდურ კალათბურთს თამაშობს, როგორც არასდროს. „ჩიკაგოს“ შვიდმა ჰიუსტონელმა აგემა სულ ცოტა 11 ქულა ტრეისი მაგრეიდის ლიდერობით. გუნდს გამოადგა „ნიუ ორლეანიდან“ ახლახან გადაყვანილი ბობი ჯეკსონი, რომელიც მწვრთნელმა რიკ ადელმანმა „საკრამენტოდან“ გაიხსენა. ვეტერანმა მცველმა ახალი გუნდის ზედიზედ მე-12 გამარჯვებაში 14-ქულიანი წილი დაიდო.

უხეირო „მემფისთან“ გასეირნებაში რიგიანი დებიუტი მოიწყვეს „კლივლენდის“ ახალწვეულებმა — ბენ ვოლესმა 12 ქულით და 10 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა, ჯო სმიტმა 14 ქულა გააკეთა, ვალი შჩერბიაკმა კი — 10. ამ თამაშის მთავარი მარგალიტი კი, რაღა თქმა უნდა, მაინც ლებრონ ჯეიმსი გახლდათ 25 ქულითა და 11 პასით.

ტრავმის მოშუშების შემდეგ ფორმა ჯერ ვერ აღიდგინა ბოსტონელმა კევინ გარნეტმა, რომელმაც პორტლენდში იქაურ „ბლეიზერსთან“ 10 ქულა იკმარა. სამაგიეროდ, ივაჟკაცეს ოლსტარელებმა პოლ პირსმა და რეი ალენმა. პირველმა 30 ქულა გააკეთა, მეორემ 19 და „ბოსტონმაც“ პირველ ტაიმში 17-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგაც მოახერხა მოგება.

კოტე ყორღია

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ქართულიც ჭრიდა

თემურ ისლამოვი 80 წლისაა

ამ ადამიანის ცხოვრება ქართული ფარიკაობის ისტორიაცაა და ამ ისტორიაში თემურ ისლამოვს გამორჩეული ადგილი უკავია. წლების მანძილზე მუხლჩაუხრელად უანგაროდ ემსახურა ჩვენს ფარიკაობას და დღესაც სიამოვნებით იხსენებს იმ დროს, როცა ქართული დაშნაც ჭრიდა, რაპირაც და ხმალიც. ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლისას საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ საზღვარგარეთ გაამგზავრა მწვრთნელის კვალიფიკაციის მისაღებად. იქიდან დაბრუნებული გულმოდგინედ წვრთნიდა ქართველ მოფარიკავეებს და მალე საბჭოთა კავშირის ნაკრებში ერთ-ერთ მწვრთნელადაც დანიშნეს. მისი აღზრდილები არიან ცნობილი მოფარიკავეები შოთა სულამანიძე, ომარ საკანდელიძე და მალხაზ ადეიშვილი, ვინც სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. თემურ ისლამოვი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია, საბჭოთა კავშირში უმაღლესი კატეგორიის მსაჯიც გახლდათ და ახლაც სიამოვნებით იგონებს: „ჩემი მსაჯობის დროს ელექტროტაბლო არ იყო, ამიტომაც ძალიან რთული გახლდათ შედეგის ობიექტურად შეფასება. როდესაც გამორჩეული და დაძაბული დაპირისპირებები იყო, სხვა მსაჯები მე მანიჭებდნენ უპირატესობას, რადგან სჯეროდათ, რომ შეცდომას არ დავუშვებდი, ეს განსაკუთრებით მახსენდება განვლილი ცხოვრებიდან“.

დღეს თემურ ისლამოვს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს და ბევრი ჩემპიონის აღმზრდელს, 80 წელი შეუსრულდა.

ლექსო მაისურაძე

ხუთჭიდელები ლიცენზიაზე ფიქრობენ

მას შემდეგ, რაც თანამედროვე ხუთჭიდის ნაკრების ლიდერმა, დავით ჭულუხაძემ უმძიმესი ტრავმის გამო კარიერა დაასრულა, თავის გამოჩენის შანსი ახალგაზრდებს მიეცათ. კაიროში წლევანდელი მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი გაიმართა, სადაც ჩვენს ქვეყანას კახა გოცირიძე წარმოადგენდა. კახამ 28-ე ადგილი დაიკავა და სარეიტინგო ქულებიც დაისაკუთრა. გეტყვით, რომ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება ამ სახეობაშიც გარკვეული რაოდენობის ქულების დაგროვების მერე ხდება. ამიტომაც თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. უფრო კონკრეტულად კი, ხუთჭიდელთა ნაკრების თავკაცი **ამირან შეროზია** გვესაუბრა.

— კახას გამოსვლით, საერთო ჯამში, კმაყოფილი ვარ. ნელ-ნელა შედეგს აუმჯობესებს. ლიცენზიის შანსი ჯერ კიდევ არის. წინ მექსიკის, ინგლისის, ესპანეთისა და ჩეხეთის მსოფლიო ეტაპებია. 25 მაისს კი უნგრეთში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და ბევრი რამ იქ გადაწყდება. გვყავს ასევე მამუკა მახაშვილი და გამოცდილი ვიაჩესლავ მალოშევი, რომელიც ახლა მოსკოვშია, ვნახოთ, რა გამოვა. მთავარია, ამ ტურნირებს კარგად მომზადებულნი შევხვდეთ.

ლექსო მაისურაძე

შავებში, ახალზელანდიურად

ქართველებმა პორტუგალიელებს კედელი აუშენეს

გუშინ გამთენიისას საქართველოს ნაკრები თბილისში დაბრუნდა, უფრო ზუსტად, პორტუგალიის მომგები გუნდიდან შინ მხოლოდ მწვრთნელები და აქ მოთამაშე მორაგბეები დაბრუნდნენ, ლეგიონერები კი საფრანგეთში ლისაბონიდანვე გაფრინდნენ. გუშინვე ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწეს ლევან ცაბაძეს ვესაუბრეთ, რომელმაც პორტუგალიასთან მატჩის წინ და შემდგომ მომხდარი საინტერესო ამბები მოგვიყვა...

— თავიდან დავიწყოთ იმით, რომ რამდენიმე ლეგიონერს სავიზო პრობლემები შეექმნა და პორტუგალიაში ჩამოსვლას ვერ ახერხებდნენ. მადლობა საფრანგეთის საელჩოს, რომ დროულად ჩაერთო საქმეში და ბიჭებს პორტუგალიაში შესასვლელი ვიზები მისცა. მასპინძლებმა კარგი სავარჯიშო პირობები დაგვახვედრეს. თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ მატჩის წინა დღეს პორტუგალიელებმა მაგრად აურიეს.

— როგორც გვითხარით, მატჩის ადგილას ლისაბონის „უნივერსიტეტის“ სტადიონზე სავარჯიშოდ არ შეგვიშვეს...

— დილით გავედით და სტადიონის ადმინისტრაციამ ცოცხალი თავის არ შეგვიშვა სავარჯიშოდ. არადა, წესით, მატჩის წინა დღეს, სტუმარმა გუნდმა იქ უნდა ივარჯიშოს, სადაც თამაში გაიმართება. როგორც გვითხრეს, პორტუგალიის რაგბის კავშირმა თქვენთვის მხოლოდ სათადარიგო მოედნის ფული გადაგვიხადა, თუ ძირითადი სტადიონის ფულსაც მოგვცემენ, შეგიშვებთო. პორტუგალიის რაგბის კავშირის წარმომადგენლები კი უმტკიცებდნენ, ფული გადახდილი გვაქვსო. ერთი სიტყვით, ერთმანეთში ვერ გაარკვიეს და ისღა მოვახერხეთ, რომ სტადიონზე მხოლოდ დამრტყმელები შევიდნენ. თუმც ესეც არ იყო ბოლო „სიურპრიზი“. საღამოს გამოგვიცხადეს, ხვალ თეთრი მაისურებით ჩვენ ვითამაშებთ, თქვენ სხვა ფერის ჩაიცვითო. არადა, წინასწარი შეთანხმებით, ჩვენ უნდა ჩაგვეცვა თეთრი მაისურები. თანაც პორტუგალიელები, უმეტესად, წითელი კვართებით თამაშობენ, რადგან წითელი მათი ეროვნული ფერია. მაინცდამაინც ჩვენთან მოინდომეს თეთრი მაისურების ჩაცმა. რაღა უნდა გვექნა. დილასვე გავიქეცით მაღაზიებში და შავი ფერის, უბრალო მაისურები შევიძინეთ. ასე გამოვეწყვეთ, ახალზელანდიურად, შავებში. მატჩისას ჩვენებს რომ ვუყურებდი, მეგონა, სხვები თამაშობდნენ.

— ანგარიშიდან ისე ჩანს, რომ ძალიან გაგიჭირდათ...

— რაღაც უცნაური თამაში იყო, ქაოტური. კოკისპირულად წვიმდა და მოედანი ტლაპოს დაემსგავსა. არც ჩვენ გამოგვდიოდა კომბინაციური თამაში და არც მეტოქეს, თუმც ასეთ ავდარშიც კი ჩვენმა უკანა ხაზმა მაინც გააკეთა თავისი საქმე და პირველივე წუთებში ირაკლი ჩხიკვაძის ლელოთი დავწინაურდით. უპირატესობა ჩვენი იყო და გადავწყვიტეთ, თამაში მეტოქის ნახევარზე გადაგვეტანა. ლაშა მალაღურაძემ სამოც მეტრზე ურტყა ბურთები, ამ ბიჭს ასეთი ოსტატური დარტყმები კარგად გამოსდის. მერე კი მეტოქის ნახევარზე მიდიოდა მამა-პაპური თამაში, ჩვენი მორკინალები მოწინააღმდეგეს ჩეჩქავდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ. ამ დროს კი მსაჯმა გამოიდო თავი. რომ ნახა, მოლში მეტოქეს ვათრევდით, ახალი წესი მოიგონა და წამდაუწუმ ვითომ ბლოკისთვის გვაჯარიმებდა, ბურთი რამენაირად მასპინძლებისთვის რომ გადაეცა. თანაც კაპიტანი, ირაკლი აბუსერიძე გააგდო სრულიად აბსურდული მიზეზით, შერკინებისას მეტოქეს ადრე ბოჭავო. ასეც რომ ყოფილიყო, ამ შემთხვევაში მხოლოდ ჯარიმა ინიშნება და ბარათით არ ისჯება. ერთი სიტყვით, ძალიან მძიმე თამაში იყო, მაგრამ ერთ წუთითაც არ შეგვპარია ეჭვი, რომ მოვიგებდით. პორტუგალიელები არ იყვნენ ლელოს გამტანები, ბურთზე კონტროლი კი ჩვენი იყო. როგორც კი ბურთი ჩვენს მხარეს გადმოვარდებოდა, ისეთ ალყას ვარტყამდით, სამი გუნდი დასჭირდებოდა ჩვენი კედლის გარღვევას.

— ნამატჩევს ტრადიციულ „მესამე ტაიმზე“ რა თქვეს პორტუგალიელებმა?

— დანა პირს არ უხსნიდათ. ეტყობოდათ, რომ საზეიმოდ ემზადებოდნენ, ისე კარგად ჰქონიათ თავისთვის ყველაფერი ორგანიზებული, მაგრამ ჩვენი მოგებით წყალში ჩავუყარეთ გარჯა. ნეტავ, სულ ასე იყოს.

— პორტუგალიასთან დებიუტი ჰქონდა კიდევ ერთ ახალბედას სიმონ მაისურაძეს. როგორი შთაბეჭდილება დატოვა?

— კარგი ბიჭია, უნივერსალი მორკინალია და მეტოქის შიში არ აქვს. საერთოდ, ძალიან კარგი თაობა მოდის, საიმედო და კარგი მორაგბეები არიან.

— მომდევნო მატჩი ერთა თასზე ყველაზე სუსტ ჩეხეთის ნაკრებთან გაქვთ. ამ მატჩისთვის ალბათ გაცილებით მეტ ახალბედას გამოცდით...

— არა, ასე არ იქნება. ტიმ ლეინი ჩეხეთთან მატჩს რუსეთთან ჯახის წინ გენერალურ რეპეტიციად მიიჩნევს. სასტარტო შემადგენლობა ოპტიმალური იქნება. აი, მეორე ტაიმში კი რამდენიმე ახალბედას მივცემთ შანსს, რომ ნაკრებში გაშინაურდნენ.

ბაჩო სვანიძე

ზემ-14 2008

ჯვაროსანთა მორიგი ლაშქრობა

ზემ-14-ის მეორე ტურის თითქმის ყველა ჯახი დაძაბულობით გამოირჩა. უკვე მეორე შეხვედრას ატარებს ბრწყინვალედ ახალზელანდიური „კრუზეიდერზი“. რაგბის რომანტიკოსებმა გასვლაზე ქვა ქვაზე დაუდეს შარშანდელ ჩემპიონს, სამხრეთაფრიკულ „ბლუზს“. მართალია, მასპინძლებს ტრავმის გამო ბრაიან ჰაბანა აკლდათ, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს „ჯვაროსანთა“ რაგბობას. სტუმართაგან რიჩი მაკქოუ, სტივენ ბრეტი და დენ კარტერი შეუჩერებლები იყვნენ. ამ უკანასკნელმა 24 ქულა მოუნაგრა გუნდს. ახალზელანდიელებმა საერთო ჯამში 7 ლელო დაუდეს დამხვდურებს და მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

დურბანში „შარქსი“ „შტორმერზს“ დაუხვდა და ორ ქულაზე მეტით რომ ვერ მოიგო, სტუმარია თავგანწირული თამაშის დამსახურებაა. „შტორმერზი“ მთელი ოცი წუთის განმავლობაში კაცნაკლული იცავდა თავს მოძალებული შეტევებისგან. არადა, „ქარიშხლებმა“ პირველი ნახევარში 10 ქულის მოგროვება შეძლეს და ანგარიშიც ბიჭ ყავდათ, მაგრამ ფრედერიკ მიშალაკმა და კომპანიამ მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ შეიტრიალეს.

ზურაბ მიბრიაული

მეორე ტური

ჩიტაზი 15:16 ფორსი

ჰარიკანზი 23:18 რედზი

ბულზი 19:54 კრუზეიდერზი

შარქსი 12:10 შტორმერზი

ლაიონზი 10:55 ბლუზი

ჩიფსი 20:17 ვარათაზი

ბრამბიზი 22:20 ჰაილენდერზი

კრუზეიდერზი	2	2	0	0	+66	2	10
ბლუზი	2	2	0	0	+63	2	10
შარქსი	2	2	0	0	+9	0	8
ვარათაზი	2	1	0	1	+14	1	5
რედზი	2	1	0	1	+1	1	5
ფორსი	2	1	0	1	-6	1	5
ჰარიკანზი	2	1	0	1	-12	0	4
ჩიფსი	2	1	0	1	-15	0	4
ბულზი	2	1	0	1	-28	0	4
ბრამბიზი	2	1	0	1	-29	0	4
ლაიონზი	2	1	0	1	-34	0	4
ჩიტაზი	2	0	0	2	-2	2	2
ჰაილენდერზი	2	0	0	2	-8	2	2
შტორმერზი	2	0	0	2	-9	2	2

თქვენი ინტერვიუ

ტიმ ლეინთან

საქართველოს რაგბის ნაკრების მთავარი მწვრთნელი

რუბრიკის რესპონდენტ ტიმ ლეინთან კითხვები 28 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ, ნაკრების ავსტრალიელ მწვრთნელთან ინტერვიუ კი ამ დღეებში გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ.

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com

ქართველებმა წოდებაზე მოიმაჯეს

სუმოს საერთაშორისო ფედერაციამ გუშინ თავისი განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც ორივე ქართველი პროფესიონალი სუმოისტი ლევან ცაგურია (კოკაი) და 20 წლის ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) დაწინაურდა.

იანვრის ბაშოზე კოკაი დასავლეთის მე-12 მაეგაშირა იყო და ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულების შემდეგ რეიტინგში ერთბაშად 7 საფეხურით დაწინაურდა. კოკაი ახლა მე-5 მაეგაშირაა. თუ მომავალ სუპერტურნირს, მარტის ბაშოს, კვლავ დადებითი ბალანსით დაასრულებს, წოდებაში კიდევ უფრო დაწინაურდება.

ლევან გორგაძეს კი იანვარში დებიუტი ჰქონდა პროფესიონალურ სუმოში. მართალია, ტოჩინოშინიმ რანგით მეორე დივიზიონში იჭიდავა, მაგრამ პირველივე ტურნირზე დივიზიონის გამარჯვებული გახდა და სუმოს სამყარო მეორე ქართველ გოლიათზეც ალაპარაკდა. იანვრის ბაშოზე გორგაძეს კინკილა გამარჯვება დააკლდა, რომ პირველ ელიტარულ დივიზიონში გადასულიყო, თუმც რეიტინგში ოთხი საფეხურით წინ წაიწია. თუ აქამდე გორგაძე აღმოსავლეთის მე-12 მაეგაშირა იყო, ახლა მე-8 მაეგაშირაა. გორგაძეს მარტშივე შეუძლია წოდებაში დაწინაურდეს. საამისოდ მოგება-წაგების ბალანსი პლიუს ექვსი უნდა ჰქონდეს.

ელიტარული გოლიათების ამქარს კი 22 წლის მონღოლი იოკუძუნა ჰაკუხო ლიდერობს, რომელმაც იანვარში ზედიზედ მესამე სუპერტურნირი მოიგო და ლეგენდარული თანამემამულე იოკუძუნა ასასორიუ ქვევით ჩამოაჩოჩა.

მომავალი 15-დღიანი ბაშო 9 მარტს დაიწყება.

ბაჩო სვანიძე

უდანაკარგო სიუდადი



ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის მესამე ტურის მატჩებში მორიგი თვალსაჩინო დაპირისპირებები შედგა. ზოგიერთმა გუნდმა მარცხით კიდევ უფრო გაირთულა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი და ახლა თავისი ჩაუქობის გარდა, სხვების იმედზე ყოფნაც მოუწევს. ამ ეტაპზე ესპანური „სიუდადია" ერთადერთი, რომელიც უდანაკარგოდ ლიდერობს მეორე ჯგუფს.

ბუნდესლიგის გრანდ „კილს" ზედიზედ ორი მოგების მერე, გასვლით მატჩში, „ადემერის" წინააღმდეგ ფეხი დაუცდა და ბურთების უკეთესი წყალობითღა გადმოსცქერის პირველ ჯგუფს მაღლიდან. გერმანელების რბევაში 10 გოლით სტრანოვსკიმ დაიდო ლომის წილი. სტუმართაგან კი, გასული ტურისგან განსხვავებით, ვეღარ გამოირჩა გუნდის ლიდერი ნიკოლა კარაბატიჩი, ვინც მსაჯს სამი ყვითელი ბარათი გამოსტყუა და ავტომატური წითელი ბარათით მოედნიდან მიბრძანდა. მის გუნდში 6 გოლი ჯიჩმა შეაგდო.

ამ ჯგუფის მეორე ჯახში რუსულმა „დათვებმა", ცოტა არ იყოს, იოლად დაჯაბნეს ფრანგები და ჯგუფიდან გასვლის შანსიც შეინარჩუნეს. სლავებში 12 გოლით იგროპულო იყო საუკეთესო.

„გუმერსბახმა" „სიუდადს" უმასპინძლა და ურთულეს თამაშში კინკილა ქულით წააგო — დიდი მონდომების მიუხედავად, გერმანელებმა ვერაფერი მოუხერხეს ესპანელებს.

კიდევ ერთი გერმანული გუნდის, „ფლენბურგის" გადამწყვეტი სიტყვა 9 გოლით ლაზაროვმა თქვა. სამაგიეროდ, მესამე ჯგუფის ბუნდესლიგის მეორე ბინადარმა „პორტლენდს" გამოუყვანა წირვა და 5 ქულით სატურნირო ცხრილსაც ჩაუდგა თავში. გერმანელთაგან იოჰმა გაიგიჟა თავი და პირინეელებს 15 გოლი გაუტანა. უნგრულმა „პიკმა" შინ ვერაფერი მოუხერხა „ბარსელონას" და ცხრილის ფსკერზეც დაეშვა. კატალონიელებს 10 გოლი ფერნანდესმა მოუტანა.

ლეჟსო მაისურაძე

ჩემპიონთა ლიგა. ქაცეგი

მეორე ჯგუფური ეტაპი

I ჯგუფი

მესამე ტური

ადემერი (ესპანეთი) 28:24 **კილი** (გერმანია)

ლავრი (საფრანგეთი) 29:34 **ჩეხოვსკიე მედვედი** (რუსეთი)

კილი	3	2	0	1	91:78	4
ადემერი	3	2	0	1	86:76	4
ჩეხ. მედვედი	3	2	0	1	89:85	4
ლავრი	3	0	0	3	76:103	0

II ჯგუფი

მესამე ტური

გორენჟე (სლოვენია) 33:28 **მონტპელიე** (საფრანგეთი)

გუმერსბახი (გერმანია) 27:28 **სიუდადი** (ესპანეთი)

სიუდადი	3	3	0	0	86:73	6
გუმერსბახი	3	1	0	2	97:99	2
მონპელიე	3	1	0	2	93:97	2
გორენჟე	3	1	0	2	85:92	2

III ჯგუფი

მესამე ტური

ოსიგერანჟე (ხორვატია) 29:25 **ფლენცბურგი** (გერმანია)

ჰამბურგი (გერმანია) 32:29 **პორტლენდი** (ესპანეთი)

ჰამბურგი	3	2	1	0	97:91	5
ოსიგერანჟე	3	2	0	1	87:80	4
პორტლენდი	3	1	0	2	82:83	2
ფლენცბურგი	3	0	1	2	80:92	1

IV ჯგუფი

მესამე ტური

სვენდბორგი (დანია) 34:33 **პივოვარნა** (სლოვენია)

პიკი (უნგრეთი) 28:33 **ბარსელონა** (ესპანეთი)

ბარსელონა	3	2	0	1	105:91	4
სვენდბორგი	3	2	0	1	102:100	4
პივოვარნა	3	1	0	2	96:103	2
პიკი	3	1	0	2	92:101	2

NHL რეგულარული ჩემპიონატი

24 თებერვალი

მინესოტა 1:2 კალგარი

0:1 0:1 1:0

0:1 ლენგკოუ (13), 0:2 კონროი (34), 1:2 პერიში (41)

პიტსბურგი 1:2 სან ხოსე

0:0 0:0 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)

0:1 ჩიჩუ (44), 1:1 კრისტენსენი (51)

ვაშინგტონი 1:2 ნიუ ჯერსი

0:0 0:0 1:1 0:1 (ოვერტაიმში)

0:1 ლანგენბრუნერი (41), 1:1 სიომინი (43), 1:2 მადენი (65)

რეინჯერსი 5:0 ფლორიდა

1:0 2:0 2:0

1:0 გომესი (8), 2:0 მალიკი (25), 3:0 იაგრი (27), 4:0 დოუსი (46), 5:0 სტრაკა (50)

ანაჰაიმი 6:3 ჩიკაგო

3:1 1:1 2:1

1:0 სელიანე (8), 2:0 გეცლაფი (9), 3:0 სელიანე (18), 3:1 შარპი (19), 4:1 ჰესკინსი (23), 4:2 შარპი (34), 4:3 სიბრუკი (56), 5:3 სელიანე (56), 6:3 კუნიცი (57)

ფინიქსი 2:0 სენტ ლუისი

0:0 1:0 1:0

1:0 მიხალეკი (25), 2:0 პერო (53)

ედმონტონი 3:2 კოლორადო

0:2 2:0 1:0

0:1 არნასონი (1), 0:2 ჰაიტი (13), 1:2 განიე (25), 2:2 ჰლენკროსი (32), 3:2 კოლიანო (48)

ტეემუ სელიანემ ჩიკაგოელებს სამი გოლი გაუტანა

სინგაპურიც დაპურდა

ბავშვები ვეფხვს ჩაუგდეს კლანჭებში

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა ახალი სიტყვა თქვა ოლიმპიურ მოძრაობაში. სოკ-ის შტაბ-ქალაქ ლოზანაში, ოლიმპიურ მუზეუმში გამართული სხდომის შემდეგ, მან გამაცხადა, რომ ამიერიდან დიდების ოლიმპიური თამაშების პარალელურად, გაიმართება ახალგაზრდული მსოფლიო ოლიმპიადა 14-18 წლის მოზარდებს შორის და პირველ ასეთ ოლიმპიადას 2010 წელს სინგაპური უმასპინძლებს.

გამოცხადებას წინ უძღოდა არჩევნები, ორ კანდიდატ ქალაქს შორის პირველი ნამდვილი ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის სინგაპური და მოსკოვი იბრძოდნენ — სინგაპურმა 53 ხმა მიიღო, მოსკოვმა — 44.

სინგაპურში ქალაქის ათასობით მცხოვრები ცენტრალურ მოედანზე დადგმულ ვეება ეკრანზე ადევნებდა თვალს ამ ამბავს და როგის სიტყვას დიდი ჟრიამული მოჰყვა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ამ ქალაქ-სახელმწიფოს ადრე კი უმასპინძლია რეგიონული ტურნირებისთვის, მაგრამ ასეთი მასშტაბის სპორტულ ღონისძიებას პირველად მიიღებს ეს აზიელი სამრეწველო-სპორტო „ვეფხვი" (სწორედ ასე უწოდებენ სინგაპურს, ჰონკონგსა და ტაივანს).

„ეს მნიშვნელოვანი სიახლეა, ახალი სიტყვაა ოლიმპიურ მოძრაობაში — თქვა როგმა გამოსვლაში — კი, მანამდე იმართებოდა რეგიონული ახალგაზრდული ოლიმპიადები, ახლა კი ამას უფრო ორგანიზებული სახე და მსოფლიო მასშაბი ექნება. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ პირველ ახალგაზრდულ ოლიმპიადას მასპინძლობს სინგაპური, რომელმაც კოლოსალური სამუშაოები ჩაატარა და ღირსეულად გაიმარჯვა."

იმედგაცრუებულები იყვნენ რუსები. მოსკოვის კანდიდატის ორგოკმიტეტის ხელმძღვანელი ალექსანდრ ჩერნოვი ამბობდა, არჩევნებზე მთავარი როლი სოკ-ის პოლიტიკამ შეასრულაო. აქაოდა, რაკი 2014 წელს სოჭი ზამთრის ოლიმპიადას მასპინძლობს, ახლა ჩვენს ქვეყანას არჩევნებში ხმები ამ გარემოებამ დააკლოო.

ახალგაზრდული ოლიმპიადა ყველაზე მასშტაბური სპორტული ღონისძიება იქნება მოზარდებს შორის, სინგაპურში დაახლოებით 3200 სპორტსმენის გამოსვლა იგეგმება 25 სახეობაში. ოლიმპიადას დაახლოებით 800 არბიტრი მოემსახურება.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ქართველ ახალგაზრდებს სინგაპურში წარმატებები ვუსურვოთ.

კოტე ყორღია

ლოდრა როტერდამელი

შარაპოვას ერთი სეტი ეკითხა

კაცები

როტერდამი. ჰოლანდია

ჰარდი (დარბაზი)

საპრიზო 824 000 ევრო

ფინალი

მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) — **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) 6:7 6:3 7:6

როტერდამში ყველა ბობოლა საწყის ორ წრეში დაიფრინეს, რის გამოც ტურნირის პრიზი მეორე ეშელონის ჩოგბურთელებმა გაითამაშეს. ამის მიუხედავად, ენა არავის მოუბრუნდება თქვას, ტურნირის გადამწყვეტი ეტაპები უინტერესო საცქერი იყოო — ფინალი კი სულაც ძალიან დაძაბული გამოდგა და მაყურებელიც ფრიად ასიამოვნა.

აქ ერთმანეთს მიშელ ლოდრა და რობინ სოდერლინგი დაეჯახნენ და მაგრადაც იომეს — ისინი ხომ ამ დონის ტურნირზე გამარჯვებასთან ასე ახლოს იშვიათად არიან და ამიტომაც ორივემ მაქსიმალური კონცენტრაციით ითამაშა, რის გამოც შეხვედრა ორ საათს გაგრძელდა. მეჩოგნეები განსაკუთრებით დაკვირვებით საკუთარ მოწოდებაზე თამაშობდნენ და ამიტომ მთელ შეხვედრაში სულ ერთი ბრეიკი გაკეთდა, ორი სეტის ბედი კი ტაიბრეიკზე გადაწყდა.

თავიდან შვედმა უფრო იყოჩაღა, მაგრამ ლოდრამ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და სწორედ იმ ერთადერთი ბრეიკით ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზეც იხეირა და კარიერაში მესამე ტიტული მოიპოვა.

„ჯერჯერობით ეს ყველაზე სერიოზული ტურნირია, რაც აქამდე მომიგია. დღეს ალბათ კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ვითამაშე, რადგანაც ცოტა შეცდომები დავუშვი და თან წაგებული სეტის შემდეგ შეხვედრის ბედი შემოვატრიალე“ — განაცხადა ნამატჩევს ლოდრამ, რომელმაც წლეულს უკვე მეორე ტიტული მოიგო (აქამდე ადელაიდაში იმარჯვა).

ამ გამარჯვებით ფრანგი ენდი მიურეის დაეწია — წლეულს მხოლოდ ამ ორს აქვს მოგებული ერთ ტურნირზე მეტი.

კაცები

ბუენოს აირესი. არგენტინა. თიხა

საპრიზო 466 000 $

ფინალი

დავიდ ნალბანდიანი (1, არგენტინა) — **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) 3:6 7:6 6:4

დავიდ ნალბანდიანი ტოპათეულს უბრუნდება — შშობლიურ ბუენოს-აირესში პირველად გამარჯვების შემდეგ არგენტინელი რეიტინგში რამდენიმე საფეხურით წინ წაიწევს.

„საკუთარი ტრიბუნების წინ გამარჯვება ყოველთვის სასიამოვნოა. მათ მხარდაჭერას მთელი კვირის განმავლობაში ვგრძნობდი და ეს მაგრად დამეხმარა ამ შეხვედრის მოგებაში. ისე, მაგარი ბრძოლისუნარიანობა გამოვავლინე“ — კმაყოფილი იყო ნამატჩევს ნალბანდიანი.

დავიდი კი ამბობს, ტრიბუნების მხარდაჭერას ვგრძნობდიო, მაგრამ გულშემატკივრები არც მის მეტოქეს აკლდა — კორტის მეორე მხარესაც არგენტინელი, ხოსე აკასუსო იდგა. ალბათ დიდწილად სწორედ ამიტომ იწვალა ნალბანდიანმა. აკასუსომ პირველ სეტში იხეირა და მეორეშიც მედგრად დაუდგა კლასით უფრო მაღალ მეტოქეს, მაგრამ ნალბანდიანმა ჯერ ტაიბრეიკზე გაათანაბრა ანგარიში, გადამწყვეტ პარტიაში კი გამოცდილების ხარჯზე უფრო იოლად დაარღვია გაჯიუტებული თანამემამულე.

ნალბანდიანისთვის ეს კარიერაში მოგებული მერვე ტიტულია, თიხნარზე კი დავიდმა უკვე მეოთხედ იხეირა.

კაცები

სან ხოსე. აშშ. ჰარდი

საპრიზო 436 000 $

ფინალი

ენდი როდიკი (1, აშშ) — **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) 6:4 7:5

ორწლიანი შესვენების შემდეგ ენდი როდიკმა სან ხოსეს ტიტული დაიბრუნა — ამ კალიფორნიულ ქალაქში ენდი-ბიჭმა უკვე მესამედ იჩემპიონა (აქამდე 2004-05 წლებში).

ფინალში როდიკი რადეკ შტეპანეკს დაეტაკა და აქაც მაგარი ჯაჭი გაიმართა. მართალია, საქმე სამ სეტამდე არ მისულა, მაგრამ ენდის მაინც მაგრად გაუჭირდა. პირველ სეტში როდიკმა შტეპანეკის საწყის მოწოდებაზევე გააკეთა ბრეიკი და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. მეორე პარტიაში კი მეტოქის მოწოდების აღება ვერც ერთმა ვეო შეძლო და საქმე საჩოგბურთო ლატარიამდე მივიდა, სადაც მასპინძელს ოდნავ უფრო გაუმართლა.

მიშელ ლოდრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კარგად ვაწოდებდი და ამან მიხსნა. მან არცთუ ბევრი შანსი მომცა, მაგრამ, საბედნიეროდ, მაინც ჩემი გავიტანე. ასეთი გამარჯვებები ერთიორად ფასობს“ — ბევრი არ ულაპარაკია როდიკს, რომელმაც შტეპანეკს კარიერიაში მეოთხედ მოუგო.

ენდისთვის ეს 24-ე საკარიერო ტიტულია. აქედან 14 ჰარდზეა მოგებული, 5 თიხნარზე, 1 ხალიჩაზე და 4 — ბალახზე.

ქალები

დოჰა. ყატარი. ჰარდი

საპრიზო 2 500 000 $

ფინალი

მარია შარაპოვა (4, რუსეთი) — **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) 6:1 2:6 6:0

მარია შარაპოვა 2008 წლის სეზონის სტარტის უდავოდ საუკეთესო მეჩოგნეა და არა მარტო იმიტომ, რომ რუსმა პრიმამ ავსტრალიაში იმარჯვა და ამას აგერ ახლა დოჰაში ჩემპიონობაც მიუმატა — მაშა ნაჩვენები თამაშითაც საუკეთესოა და თითქმის სრულყოფილად ჩოგნაობს.

დოჰას შარაპოვა ისე ეწვია, რომ წლეულს სეტიც არ ჰქონდა წაგებული — ეს სერია რუსმა პირველსავე მატჩში გაწყვიტა, როცა გალინა ვოსკობოევას პარტია მისცა. თუმც ამის შემდეგ მაშა ისევ დიდებულად ათამაშდა და ფინალამდე რეაქტიული სიჩქარით იფრინა.

გადამწყვეტ მატჩში შარაპოვას თანამემამულე ვერა ზვონარიოვა ელოდა. ისე, WTA-ს ისტორიაში ეს მე-12 სრულიად რუსული ფინალი გახლდათ. თავიდან შარაპოვამ მოწოდება დათმო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ექვსი გეიმი აიღო და სეტიც სათავისოდ დაიტოვა. აქ, ეტყობა, მაშამ უკვე საზეიმოდ მზადება დაიწო, რადგანაც აშკარად დაკარგა კონცენტრაცია — ტემპს უკლო, შეცდომებს კი უმატა. ზვონარიოვამ ამით კარგად ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა კიდეც.

წესით, ყველაზე საინტერესო აქ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ შარაპოვამ მოახერხა გონს მოსვლა და გადამწყვეტ პარტიაში მეტოქეს გეიმიც კი არ ააღებინა.

„წარმოდგენაც კი არ მაქვს, მეორე სეტში რა დამემართა. თითქოს ჩამეძინა, არადა, რამდენიმე მშვენიერი შანსი გავანიავე. საბედნიეროდ, მესამე სეტში შეკეთდა ამოძრავება და ისევ მოვუმატე. მთლიანობაში, დღეს ჩემი საუკეთესო თამაში ნაღდად არ მიჩვენებია, რადგანაც ძალიან არასტაბილური ვიყავი. მეორეს მხრივ კი ხუთ დღეში ხუთი მატჩის ჩატარება იოლი სულაც გახლავთ და ჩემი წაყორხილებაც ამის ბრალი უნდა იყოს“ — თვითკრიტიკის ხასიათზე იყო შარაპოვა, რომელმაც ამ გამარჯვების შემდეგ უკვე 18 ტიტულს მოუყარა თავი.

ქალები

ბოგოტა. კოლუმბია. თიხა

საპრიზო 200 000 $

ფინალი

ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) — **მარია ელენა სალერნი** (არგენტინა) 6:0 6:4

ნურია ლაგოსტერა ვივესს ტრავმების გამო თითქმის მოელი 2006 წელი გაუცდა და ერთი პირობა კარიერის დასრულებაზეც ფიქრობდა, მაგრამ გადაიფიქრა და ეს სეზონი საკმაოდ კარგადაც დაიწყო. ესპანელს ორი წლის წინანდელის დაბრუნება სურს — მაშინ საუკეთესო 50-ს შორის შეაღწია და ახლაც ამას უმიზნებს. ვივესმა საამისოდ პირველი ნაბიჯი გუშინ გადადგა, როცა ბოგოტას ტურნირის ფინალში არგენტინელ მარია ელენა სალერნის საკმაოდ დამაჯერებლად გაუმკლავდა — ამით ესპანელმა მეორე საკარიერო ტიტული მოიპოვა (აქამდე 2005-ში რაბატში ემარჯვა).



მარია შარაპოვა დოჰაში მოტოციკლეტით დააჯილდოვეს

კახა ლომაია

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ისარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენგაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიანი, ლიანა ბესელია, ხათუნა ბეხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პროსპექტი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge